საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 202 პარასკევი, მარტის 23 (4) 1918 202

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ყაჩაღთა ბრბომ ცხინვალი მთლად დაარბია: [illegible]ბუგეს, ქალები და ბავშები დახოცეს.—ბაქოში [illegible]ბილი კაპიტალისტები მუხთაროვი და ასა დულაევი, დაატუსაღეს ნაგიევი და ტაგიევი.—ბაქოში ზავი შეჰკრეს: თათრებმა აღიარეს ბოლშევიკების მთავრობა.—მდინარე ეფრატზე ინგლისელებმა ოსმალები დაამარცხეს.—პალესტინის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა.—ტრაპიზონის საზავო კონფერენციის შესახებ ცნობები კვლავ არ მოსულა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" ([illegible] „ნადეჟდა") ბარიატინის ქუჩა, სახლი № 14 და ღირს ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

დეიდა აკვილინა ნიკოლოზის ასული შვილებითურთ კაპარავები, ბიძები იონა ნიკოლოზის ძე ჭითავა, გერასიმე და არსენა ნიკოლოზის ძენი ფოჩხუები ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 18 მარტს უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი

გერმანე (ჭიჭიკო) ნარსია

პანაშვიდი 20 მარტს საღამოს 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე (19 თებერვლის ქ. № 5. საკუთარი ს.) გამოსვენება 21 მარტს 3 ს. ტფ. სადგურზე წაასვენებენ ქ. ქუთაისს პოდგორნი ქ. საკუთარ სახში დაკრძალვა შაბათს 24 მარტს, ნაშუადღევის 3 ნახ. ს. პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე. 330

გულ დათუთქულნი და ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ეგნატე ივანეს ძე და ელისაბედ ნიკოლოზის ასული ნარსია და შვილები მათი: ნადია, გრიგოლი, კოწია მეუღლით, ვალოდია, ალიოშა, ოლია, თამარ, ელიკო, შალიკო და დისწული სოსო გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობებს და მეგობრებს რომ 18 მარტს უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი

გერმანე (ჭიჭიკო) ნარსიასი.

პანაშვიდი 20 მარტს საღამოს 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე (19 თებერვლის ქ. № 5 საკუთარი სახლი) გამოსვენება 21 მარტს 3 საათზე ტფ. სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ ქ. ქუთაისში პოდგორნი ქ საკუთარი სახლი. დაკრძალვა შაბათს 24 მარტს ნაშუადღევის 3 ნახ. ს. პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე. 330

მინა სპირიდონის ძე, სიმფორია სპანდიერის ასული და მალაქია ერასტის ძე გონაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 20 მარტს უდროვოდ გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაუვიწყარი შვილი პირველთა და ბიძაშვილი მეორისა

ბალიკო გონაძე

გამოსვენება შაბათს 24 მარტს დილის 9 საათზედ ბინიდან ქვაშვეთის ეკლესიაში; დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. ბინა: პირველი საპიორნი ტუპიკი № 4. 337

დამწუხრებული მშობლები: მღ. სილიბისტრო და სერმიდო ალმასხანის ასული, ძმები: მღ. ეპიფანე, არონ, სამსონ და ანტონ, ძმის შვილები: გიორგი, შალვა და ნოე ჩხაიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ თათრებთან ბრძოლის დროს ჯავშნიან მატარებელზე 18 მარტს ტრაგიკულად მოკლულ იქნა ძვირფასი

პეტრე ჩხაიძე

დღე მიცვალებულის სამშობლოში გასვენებისა და დაკრძალვისა იქნება გამოცხადებული მას შემდეგ, როცა მიცვალებულს ტფილისში ჩამოასვენებენ. 341

თავზარდაცემული და გულდათუთქული უბედური მშობლები: მიხეილ და ვარვარე, პაპა ილია და დიდედა მატრონა, ძმა ირაკლი, დები ქეთო, თამარ და ნინო, ბიძა ივანე და ბიცოლა ლიუბა მურვანიშვილები და მამიდა დარიკო ქებაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ქართველი პოლკის „პრაპორშჩიკის" ძვირფასისის და დაუვიწყარის

ქაიხოსრო მიხეილის ძე მურვანიშვილის

უეცრად გარდაცვალებას. გამოასვენებენ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოდან პარასკევს 23 მარტს დილის 7½ საათზე სადგურისაკენ დაკრძალვა სურამის ღვთაების ეკლესიის გალავანში, კვირას 25 მარტს. 340

24 მარტს დანიშნულია ქ. ტფილისში ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წლის წირვა და პანაშვიდი

ვლადიმერ ბესარიონის ძის ელიავასი

და სამი თვის წირვა და პანაშვიდი მისი შვილის მესამე კურსის სტუდენტის

ლეონიდე ელიავას

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ პირველის ქვრივი და მეორის გულდამწვარი დედა მარიამ დიმიტრის ასული ელიავასი თავის შვილებითურთ, პირველის ძმები და მეორის ბიძები ილიკო და სერგო ბესარიონის ძენი ელიავები. წირვა დაიწყება 10 საათზე პანაშვიდი წირვის შემდეგ. 343

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე საშა, შვილები სერგი, შალვა, მიშა, პავლე, გიორგი და თამარ, ძმა დიმიტრი, რძალი მარო და ეკა, დის შვილები ესე და ევპრაქსია ელენტები და ნინა ბაქრაძე, მამიდაშვილი იაგორ გოგობერიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ალექსი ესას ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე მიცვალებულის ბინაზე (გაბაშვილის შესახვევში № 1) ცხედრის გამოსვენება 10 საათზე, დასაფლავება მოხდება კვირას, 25 მარტს ტფილისში წმ. ნინოს სასაფლაოზე, წირვა და პანაშვიდი დაკრძალვის დღეს კალოუბნის ეკლესიაში. წერილი არავის არ დაეგზავნება. 338

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შენობ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 23 მარტს, მოხდება

„საზაფხულო სეზონის"

საზეიმო გახსნა ახალი გასტროლიორებისა და დებიუტანტების მონაწილეობით. მრავალი ახალი სანახაობა.

ანონსი: კვირას 25 მარტს გაიმართება 2 სადღესასწაულო წარმოდგენა. დღით ბავშვებისთვის დაკლებულ ფასებში. ყველა ახალი მსახიობის მონაწილეობით. დღით დაიწყება 1 ს., საღამოს—8 ს, დასასრული 11 ს. 342

სახლის კომიტეტების კრება

პარასკევს 23 მარტს, ნაშუადღევის 5 საათზე ნაძალადევის თეატრში მოწვეულია სახლების,

კვარტალების, რაიონების და უბნების კომიტეტების წარმომადგენელთა

საერთო კრება, **მე-10, მე-11 და მე-12 სამილიციო უბნებისა**

პურის ფასის საკითხის განსახილველად.

სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს ქალ. გამგეობის წევრი დ. პოპოვი.

აუცილებლად საჭიროა ყველა წარმომადგენლის დასწრება.

1119 **ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.**

ქართული თეატრის აღორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ. 30 წლამდე) გამოცხადდნენ ჩასაწერად სრულიად ახალ დასის შესადგენად ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებულ მსახიობებით გაჰმართავს წარმოდგენებს ჯერ ტფილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოდ შეისწავლიან: **დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რითმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს, ხმის დაყენების და ვისაც სასიმღერო ხმა აღმოაჩნდება—სიმღერას.** თუ რომელსამე მომავალ მსახიობს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე № 11. ჩაწერა დაიწყება 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოდ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდე.

კანტორა ღიაა დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ წერილობით გვაცნობონ ამ ისამართით: ქართული დრამატიული საზოგ. გამგეობა. 1117

აგარაკი წაღვერი

(ბაკურიანის რკინის გზა, ბორჯომიდან 12 ვერსზე)

პანსიონი ელისაბედ მღებრიშვილისა

(მეთორმეტე სეზონი)

პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ შენობაში, მაღლობ და განცალკავებულ სუფთა ადგილს, ფიჭვ ნაძვნარში, ყოველივე მოწყობილობით. პანსიონთან იმყოფება ექიმი, არის საგანგებოდ გამოყვანილი წყაროს წყალი. არის **ვანნები**, პიანინო და სხვ... სახლიდან მოსჩანს საუცხოვო სანახაობა,..

აგრეთვე წაღვერში მომდინარეობს მეტად სასარგებლო მჟავე (რკინის) წყალი.

პირობების გაგება შეიძლება თვით წაღვერში: Цагвери (черезъ Боржомъ) Елизаветѣ Яковлевнѣ Мгебришвили.

იყიდება სახლი, სადაც არის 16 ოთახი, მოსამსახურესთვის ოთახი და წყალსადენი. ჩერნომორსკაია ქუჩა № 8, არომიანცის საავადმყოფოს ზევით. 345

ტფილისი, 23 მარტი 1918 წ.

ძირს ბეგები.

სამაჰმადიანო საქართველოში მდგომარეობა მეტად გართულებულია. ჩვენი პრესა შედარებით კარგად აშუქებდა მდგომარეობას ბათომის მხარეში, აჭარაში. ჩვენ სპეციალური ზომები მივიღეთ, რომ სამაჰმადიანო საქართველოს მეორე მხარე—მესხეთიც ყოფილიყო განხილულ-გაშუქებული. საგანგებო კორესპონდენტებისაგან უკვე ფრიად საყურადღებო ცნობები მოგვდის მესხეთიდან, რომელთა ნაწილიც გუშინ დავბეჭდეთ გაზეთში. კორესპონდენტები აშკარად ამტკიცებენ და არკვევენ საქმის მდგომარეობას სამაჰმადიანო საქართველოს ყოველ კუთხეში. ყოველ ქართველს და მით უფრო საზოგადოებრივ ჯგუფს ძალიან კარგად მოეხსენება სამაჰმადიანო საქართველოს მნიშვნელობა მეტროპოლისათვის, დედა საქართველოსათვის. რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველობა ისეთ მდგომარეობას ქმნიდა მაჰმადიან ქართველთა ადგილებში, რომლითაც პერიფერია მჭიდროდ უნდა დაკავშირებოდა დედა ქვეყანას. არავითარი კერძო და შემთხვევითი მიზნები ქრისტიან ქართველებს არ ქონდათ მაჰმადიანთა სამყაროში. ისტორიული იყო ჩვენი ძმათა შორის ერთობა, მუდმივი, სამუდამო ხასიათი უნდა ქონდა და ქონდეს ჩვენს კეთილ განწყობილებას მაჰმადიანებთან. ამ მიზნისათვის ყოველგვარ საშუალებას მივმართავდით ძმობა-ერთობის განმტკიცებისათვის. ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქრისტიან ქართველების ამ გულწრფელ მოყვარულ მუშაობას სასურველი ნაყოფი მოჰქონდა. მაგრამ მდგომარეობა ძალიან გართულდა, გამწვავდა ომის დროს, ზავის ხანაში, როდესაც ოსმალეთის ხელები შემოიჭრა ჩვენს მხარეში.

რანაირიც არ უნდა იყოს სამაჰმადიანო საქართველოს ამბები, ჩვენ ისეთი ნაბიჯი არ უნდა გადავსდგათ, რომ საუკუნის განმავლობაში სახელი გავიფუჭოთ მოძმე მაჰმადიანებში. მაჰმადიანი ქართველები ახლო ცხოვრობენ ოსმალებთან, რომელთაც უკულტურობას განიცდიან და დღესაც ვერ მიუღწევიათ კულტურის ელემენტარულ საფეხურს. მხოლოდ მაჰმადიან ქართველთა გონებრივ ჩამორჩენას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ მათში დღესაც გავლენა აქვს ბეგებს, ხალხს ვერ გაუბედნია მათ წინააღმდეგ გალაშქრება, თუმცა კარგად გრძნობენ, რომ მათი მტარვალები ბეგები არიან.

დღეს, როდესაც ჩვენ გვაქვს დაწვრილებითი ცნობები ახალციხიდან, აბასთუმნიდან, აწყვერიდან, აჭარაქობულეთიდან თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ: ქართველი მაჰმადიანები ჩაუგდია ბეგებს და ალაპარაკებს რაც მათ სურთ. სტენოგრაფიულის სიზუსტით ერთსა და იმავეს გაიძახის ხალხი აწყურში და აჭარაში, ერთნაირად მოქმედებენ ბეგები. ჩვენ საქმე გვაქვს არა მაჰმადიანურ მოძრაობასთან, ჩვენს წინაშე უბრალო კონტრ-რევოლიუციონური, რეაქციონური მოძრაობაა ბეგებისა, რომელთაც რევოლიუცია არ მოსწონთ. რევოლიუციამდე და რევოლიუციის პირველ ხანაში, როდესაც კანონების მაგიერ მხოლოდ სიტყვები იყო ბეგები ჩვენ გვემხრობოდნენ, დღეს კი აშკარად გადავიდნენ ოსმალეთის მხარეს, დარწმუნებულნი, რომ ოსმალეთის ბატონობა მათი ძველი გავლენის და ქონებრივ კეთილდღეობის აღდგენაა.

ქართველ ბეგებს უკავშირდებიან ოსმალეთის აგენტები, მათი დაქირავებული ჩეტნიკები და მათ ქსელშია ხალხი გახვეული. ხალხი ეუბნება ჩვენს კორესპონდენტს: არ მოგვწონან ბეგები, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც მათ ხელშია ძალა, გაძლიერდით, დათრგუნეთ ბეგებ ჩეტნიკების ძალა და თქვენთან ვიქნებით. ამ საყურადღებო და დიდმნიშვნელოვან განცხადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. სამაჰმადიანო საქართველოში ფიცხელი რეპრესიული ზომების მიღება საჭიროა, მაგრამ მეტად ფთხილად და არა ხალხის წინააღმდეგ, არამედ ბეგების ასალაგმავად. ხალხი კარგად უნდა გრძნობდეს, რომ ვიბრძვით მოღალატე ბეგების წინააღმდეგ, რომელთა ქონებაც მაჰმადიან ქართველთა ხელში უნდა გადავიდეს.

სამაჰმადიანო საქართველოში ჩვენ უკვე ჩავიდინეთ ერთი შეცდომა: რევოლიუციის დროს მათ ბრძოლა კი არ გამოუცხადეთ, კომისრების ადგილებიც მივეცით, ზოგიერთი [illegible] პირი სეიმშიაც გავიყვანეთ ეროვნულ მოსაზრებათა გამო. მაჰმადიანი ქართველობა კი ამის გამო პროტესტს აცხადებს და მადლობელი კი არ არის. საჭიროა არა ბეგების კომისრობა და მართველობა, თვით ხალხის თვითმართველობა რამდენათაც კი ეს შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში ბეგები გამოაშკარავდნენ რანიც არიან გაიძვერაობენ და კონტრ-რევოლიუციისათვის ჩვენს წინააღმდეგ ხალხს ამხედრებენ.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ბრძოლას მოითხოვს ბეგების წინააღმდეგ; ყველა მოღალატე უნდა ეროვნულ სირცხვილით შევმოსოთ, გავაკრად სამარცხვინო ბოძზე. სიკეთის ნაცვლად ისინი ღვრიან ძმებს შორის სისხლს და რა ძალაც არ უნდა ქონდეს მათ, ჩვენ გვმართებს მათი ძალის შემუსვრა. მაჰმადიან ქართველთა დემოკრატიის გამოფხიზლება, მათში რევოლიუციონური სულისკვეთების გამოწვევა და ბრძოლა ბეგების წინააღმდეგ, აი დღეს რა პოლიტიკა შეგვაერთებს ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს. აქ მოცდა აღარ შეიძლება, ამ მიზანს დღეს ყოველი რევოლიუციონური ქართველი უნდა ისახავდეს, ყველგან ქადაგებდეს ამ პოლიტიკის სიმართლეს, აზრს. მთავრობას მართებს ამ გზას დღესვე დაადგეს და სასტიკი სასჯელით [illegible] გაიძვერა და მოღალატე ბეგებს, ჩამოართვას მათ ქონება, ხოლო [illegible] საშუალება მოუსპოს მავნე საქმეების გაკეთებისა.

საქართველოს დემოკრატია დღეს ერთხმად მოსთხოვს მთავრობას: ძირს ბეგები და ამ მოძრაობაში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია მთავრობის რევოლიუციონურ ნაბიჯს დაეხმარება და ხელს შეუწყობს.

ქართული პრესა

გაზ. „ერთობა" ისევ ლაპარაკობს ფაშების შესახებ.

გაზეთი სწერს: „სოც.-დემ. მოთხოვნის დაუყონებლივ ცალკე საქართველოს მთავრობის შექმნის და საზავო მოლაპარაკების ამ მთავ-

მის სახელით წარმოებს—მხოლოდ განმეორებაა რაუშების მოთხოვნილებისა".

გაზ. „ერთობა"-მ ძალიან კარგად იცის, რომ რაუშ-ების ინტერესი და ჩვენი მიზანი ისე ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს, როგორც ცა დედამიწას. ასე რომ არ იყოს ჩვენ სამშობლოს დაცვაზედაც ავ ღებდით ხელს. მაგ ამ ჩვენ სინამდვილეს უწევთ ანგარიშს. დიპლომატიისათვის რეალური ძალაა მთავარი, შინ კი დაუძლურებული ვართ, დაყოფილნი ფაქტიურად და ორჭოფული მდგომარეობა გვღუპავს. შინაური ფრონტის გაძლიერებისათვის ჩვენ მოვითხოვთ ეროვნულ მთავრობის გამოცხადებას, ამით გავძლიერდებით შინ, მაგრამ ეროვნული მთავრობა სრულიადაც არ ნიშნავს გამოყოფა—დანაწილებას, ჩვენ ფედერაციას ვქადაგებთ და ფედერაციით ერიც ილაპარაკებს და საერთო ყველა ერის ინტერესიც იხსნს თავს.

დაწერილს გაგება უნდა—მოქალაქენო და არა გადამახინჯება. დაგვერწმუნეთ, ეს აღარ არის საქმისათვის საჭირო.

საქართველო და ამიერკავკასია

ამიერკავკასიისთვის, მით უფრო თუ იგი დამოუკიდებელი იქნება, საჭიროა საერთო სახელმწიფოებრივი ორგანო, მაგრამ ამასთანავე ერთად საჭიროა ეროვნულ-ტერიტორიალური ერთეულების შექმნა. ეს აზრი უკვე ოფიციალურად დადასტურებულია სეიმის მიერ და მთავრობის დეკლარაციაშიც პირდაპირ დასახულია ეროვნულ ტერიტორიალური ერთეულების შექმნა, როგორც მთავრობის პროგრამა. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის სეიმი და მთავრობა ძალიან გაურბის როგორც ზემოხსენებული საკითხის დასმას, ისე ცხოვრებაში გატარებას. რადგან ოფიციალურად აღიარებული პროგრამა განუხორციელებელი რჩება, რაიმე მიზეზი უნდა გამოუძებნოთ მას. ჩვენ გვგონია, ერთად ერთი მიზეზი ამის შიშია, ვაი თუ ეროვნულ-ტერიტორიალურმა გადამიჯვნამ ეროვნული კონფლიქტები გამოიწვიოს და ამიერკავკასიის მთლიანობა, რომელიც ჯერ ეხლაც ძლივს არის შეკოწიწებული, უფრო დაირღვესო. ჩვენ გვგონია, რომ მხოლოდ ამ შიშით არის გამოწვეული გადადება ის საქმისა, რომელსაც, ჩვენის აზრით, შეეძლო ნამდვილი, ორგანიული მთლიანობა დაემყარებინა ამიერკავკასიაში.

იყო დრო, როდესაც ამ ცვლილების ცხოვრებაში გატარება გაცილებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე დღეს. საზოგადოდ ყოველნაირი ძირითადი რეფორმისა და ცვლილების ცხოვრებაში გატარება მაშინ უფრო ადვილია, როდესაც ანარქიასა და არევ-დარევას ღრმად არა აქვს ფესვები გადგმული. პირველი სარევოლიუციო დღეები, ძლიერნი სარევოლიუციო დისციპლინით, სწორედ ასეთი დრო იყო. მაგრამ მაშინ ამიერკავკასიის პოლიტიკური მოწყობის ძირითადი პრობლემები მსხვერპლად შეეწირა პოლიტიკურ დოგმებს და ამიერკავკასიის ერთა შორისაც თავის დროზე არ მოჰხდა ისეთი გადამიჯვნა, რომელიც დღევანდელ არევ დარევას ცოტათი მაინც შეამსუბუქებდა და სრულიად ახალს ჰორიზონტს გადაუშლიდა, როდესაც ამიერკავკასიის თვითოეულ ერს ცალცალკე, ისე ამ ერთა კავშირს—ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერატიულ დამოუკიდებელ რესპუბლიკას. გავლენა რუსული ნაციონალიზმით გაჟღენთილი ელემენტებისა რევოლიუციის პირველ ხანაში იმდენად ძლიერი იყო, რომ მან სრულიად დაჩრდილა სადი პოლიტიკური სარევოლიუციო შემოქმედება ამიერკავკასიის დემოკრატიისა, რომლის საუკეთესო შვილნიც ბოლოსა და ბოლოს იძულებული ჰხდებიან პოლიტიკური შემოქმედება კი არ გასწიონ, არამედ წმინდა ადმინისტრატიული ბრძოლა ანარქიის ჩასაქრობად. დემოკრატიის მთელი ეხლანდელი მოღვაწეობა სავსებით ანარქიასთან ბრძოლაში გამოიხატება. ანარქიასთან ბრძოლა საჭიროა, მაგრამ რეპრესიული ზომებით ანარქიის მოსპობა თავისთავად ჯერ კიდევ არ არის პოლიტიკური შემოქმედება.

დღეს ეროვნულ-ტერიტორიალური გადამიჯვნა,—ეს აუცილებელი პირობა ამიერკავკასიის მთლიანობისა და დამოუკიდებლობისა,—გაცილებით უფრო გაძნელებულია. გაძნელებულია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ანარქია ჩვენში უფრო გაძლიერდა, მთელ ამიერკავკასიაში თითქმის აღარ მოიპოვება ადგილი ერთი ძველი კუთხე, სადაც [illegible] ხანი ან სრულდებოდეს, ან სრულდებოდეს ისე, როგორც ეს თვით ცენტრალურ მთავრობას ჰსურს. გაძნელებულია კიდევ იმიტომაც, რომ ამიერკავკასიის ერნი თითონ, თავიანთი საკუთარის თაოსნობით შეუდგნენ ტერიტორიის გამიჯვნას და ასეთი წესი გამიჯვნისა კი ყოველთვის უფრო სასტიკი, ულმობელი, სისხლის მღვრელი და დაუნდობელი არის. შეცდომა იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ყველაფერი ის, რაც დღეს ჩვენს გარშემო სწარმოებს, მხოლოდ უბრალო ანარქიაა. ანარქიის სახეს იღებს ის, რაც არსებითად ანარქია კი არ არის, არამედ საუკუნოვანი ეროვნული ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიის ვრცელ ტერიტორიაზე. ეს ეროვნული ინტერესები გადახლართულია სოციალურ-ეკონომიურ ინტერესებზე და ამ ნიადაგზე იბადება მრავალი და შეიარაღებული შეტაკება.

ჩვენში კარგა ხანი პირდაპირ გასაოცარი სარევოლიუციო დისციპლინა იყო. არავითარ აგრარულ ექსცესებს ადგილი არა ჰქონია. მაგრამ აგრარულმა კანონმდებლობამ დაიგვიანა და ხალხმა თითონ დაიწყო მიწის საკითხის გადაწყვეტა. როგორც მოსალოდნელი იყო, მოძრაობამ მაშინვე მახინჯი სახე მიიღო, სისხლი ბევრი დაიღვარა და ყოფილი გლეხების მდგომარეობა კი ამით არ გაუმჯობესდა. მხოლოდ ნაძირალებმა ისარგებლეს ამღვრეული წყალით.

ასევე დაემართა ეროვნულ-ტერიტორიალურ გადამიჯვნასაც. იყო დრო, როდესაც ეს ძირითადი რეფორმა ამიერკავკასიისა თითქმის უმტკივნეულო გადაივლიდა. ამიერკავკასიის ერთა ფსიქოლოგია წინა წარი პროპაგანდა-აგიტაციით უკვე მომზადებული იყო ამ საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობის შეგნებით. ამ ნიადაგზე შეთანხმებაც ადვილად მოჰხდებოდა და გადამიჯვნაც. დღეს მდგომარეობა გაცილებით გაუარესებულია სწორედ იმიტომ, რომ ამიერკავკასიის ერებმა თითონ დაიწყეს ამ საკითხის გადაწყვეტა. უნდა ველოდეთ, რომ ამნაირის წესით წარმოებული გადამიჯვნა უფრო ანარქიულად იწარმოებს და ისეთს შედეგებს გამოიღებს, რომლებიც სისხლით დასვრის ამიერკავკასიის ყველა ერს.

მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ? პრაქტიკულ ზომებზე არაფერს ვიტყვით, მაგრამ ერთი კი უნდა ვსთქვათ: არ უნდა დავივიწყოთ, თუ გადამიჯვნის საქმე კიდევ შორეული დროისთვის გადაიდო, მდგომარეობა უფრო გამწვავდება, უფრო გართულდება და დადგება ისეთი დრო, როდესაც გადამიჯვნა უკვე არსებითად შეუძლებელი გახდება. მაშინ ამიერკავკასიის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის იდეა სამუდამოდ დაიმარხება და საქართველოც, დაგლეჯილ-დაწიწკნილი, ძალა-გამოლეული, ემწეოდ დაიწყებს ფართხალს.

არის ერთი გარემოება, რომელსაც ჩვენში გაბატონებული პარტია სრულიად ვერ ამჩნევს. იგი ვერა ჰხედავს, რომ თანდათან ამიერკავკასიის ერთა შორის მტკიცე ნიადაგსა პოულობს ის აზრი, თითქოს სოციალ დემოკრატების გაბატონება ამიერკავკასიაში ქართველების გაბატონებას უდრის. თვით სოციალ დემოკრატები ასე არა ფიქრობენ, ისინი თავიანთ თავს უცქერიან, როგორც სოციალ-დემოკრატებს და არა ქართველებს, მაგრამ ამით მდგომარეობა არ იცვლება. სხვები მათ უცქერიან როგორც ქართველებს და არა მხოლოდ როგორც სოციალ-დემოკრატებს. ეს გარემოება კი თავისთავად ჰბადებს ისეთს წარმოდგენას, თითქოს ქართველების პრეტენზიები ძალიან დიდი და შეურიგებელია. ამ ნიადაგზე შეიძლება ანტიქართული მოძრაობა დაიწყოს იმათშიაც, რომელთანაც ჩვენ სადავო და გასაყოფი სრულიად არაფერი გვაქვს: ყველა ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა საკითხი გადამიჯვნისა მთავრობამ და სეიმმა დასვას, რათა ამიერკავკასიაში მომქმედ ბნელ ძალებს ყოველგვარი გასაქანი მოესპოს და ახდილად, პირისპირ მოლაპარაკებით და სახელმწიფოებრივი შემოქმედების საშუალებით გადაწყდეს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტასაც დღეს ბნელი ძალები ფარულად ამზადებენ და აშკარად იარაღით სწყვეტენ.

ეროვნულ-ტერიტორიალური გადამიჯვნის დროს, რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული უკვე შექმნილი გართულებული მდგომარეობა. ამიერკავკასიას ჯერაც არ აქვს შემუშავებული თავისი კონსტიტუცია. უნდა მალე შემუშავდეს და შემუშავების დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ყოველნაირ ობიექტიურ პირობას, სხვათა შორის ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ ამიერკავკასიის ერთა გადამიჯვნა და საქართველოს მთავრობის შექმნა სრულიადაც არ მოითხოვს სეიმის დაშლას და ამიერკავკასიის ცენტრალური მთავრობის გაუქმებას. ეროვნულ-ტერიტორიალური ერთეულების შექმნის შემდეგ მოხდება რეკონსტრუქცია ამიერკავკასიის ცენტრალური ორგანოსი და არა გაუქმება. ამიტომ ტყუილად უპირისპირდება ხოლმე საქართველოს დროებითი მთავრობის შედგენა სეიმსა და ცენტრალურ მთავრობას. ერთიც უნდა იყოს და მეორეც. სეიმი არსებობს; თუ მალე საქართველოს დროებითი მთავრობაც არ შეიქმნა და არ მოჰხდა ეროვნულ-ტერიტორიალური გადამიჯვნა, მალე ამიერკავკასიაში ისეთი ამბები დატრიალდება, რომ სისხლში შთაინთქმება თავისუფლებაც, დემოკრატიაც, რევოლიუციაც და ქართველი ერიც, როგორც ერი. დაე მაშინ მთელი პასუხისმგებლობა კისრად დააწვეს იმას, ვინც დღემდისაც ანგარიშს არ უწევდა ამ საკითხს, არ უწევს ანგარიშს დღესაც, როდესაც საქართველო იშლება და ყოველის მხრიდან იჯიჯგნება...

არ. ჯაჯანაშვილი.

ფედერაცია

3.

ფედერაცია თუ სეპარაცია?

ფედერაციის საკითხი ჩვენ მორიგ საკითხად დავსახეთ რევოლიუციის პირველ ხანაში. ფედერაციის მიღება ეროვნულ საკითხის გადაჭრაა და რაკი ეროვნული საკითხი არსებობს იგი უეჭველად უნდა მოგვარდეს. სხვა გზა არ არსებობს. ცენტრალიზმი ეროვნულ საკითხის მიჩქმალვაა, ნიველიზმის გაბატონებაა პოლიტიკაში, ხოლო სეპარატიზმი ულტრა-ეგოიზმის გაბატონებაა, მონადიზმის პრიორიტეტის აღიარებაა ერთა შორის განწყობილებაში.

მონადიზმის და ულტრა-ეგოიზმის, სეპარატიზმის საფუძველზე ერის ცხოვრების აგება ჩვენს ჰუმანიურ და კულტურულ-ეროვნულ მოტივებს არ შეეფერება. ეს სისტემა სამწუხარო შემთხვევად შეგვიძლიან მივიღოთ თუ ისიც თავს დაგვატყდება, ან მასთან ციქნევით პოსტ ფაქტუმ.

ჩვენ პრინციპიალური მტერი ვართ სეპარაციისა საზოგადოდ, ამ წუთიერი [illegible] ლების მავნებლობას ვიქადაგებთ მთელი ერი და თუნდაც შეგნებული დემოკრატიაც გამოუქომაგოს მის არსებობას, ვინაიდან გვწამს, ისტორიით ვიცით, პრაქტიკამ დაგვანახა, რომ გამოთავთავებული სახელმწიფოები ბუდეა ომიანობის, შოვინიზმის, პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ანარქიის.

ჩვენი არსებობის პირველ დღეებიდანვე ჩვენ ასე ვაფასებთ სეპარაციას. მას ვეწინააღმდეგებით სულის ყოველის ფიბრით, მას უარვყოფთ მთელის ჩვენის არსებით, ეს ყველამ იცის, ვინც განზრახ არ ღალატობს სინამდვილეს, მაგრამ—თქვენ წარმოიდგინეთ მკითხველო—ოცი წლის განმავლობაში ვერ შევძელით შეგვეგნებინა სოციალ დემოკრატიული პარტიისათვის, რომ ფედერაცია სეპარაცია არ არის, რომ ეროვნულ მთავრობის და ეროვნულ პარლამენტის შექმნა გამოყოფის, სეპარაციის თვალსაზრისით არასოდეს მოგვითხოვნია, არც ეხლა ვთხოულობთ და არც არასოდეს მოვითხოვთ. ეროვნულ კანონმდებლობის დროს ჩვენ აშკარად ვამბობთ ფედერალურ, ე. ი. ინტერნაციონალურ (რაკი ეს უკ ნასკნელი სიტყვა უყვართ მენშევიკებს—ჩვენც ვიხმარო) კანონმდებლობას, როგორც ეს ფედერატიულ სახელმწიფოების პრაქტიკაშია. მაგრამ—არ ვიცით რა—სოციალ-დემოკრატიის ბაწია თუ დიდი ადამიანები ყოველთვის გვიუწყებიან არა ფედერატიულ ერთობაზე, არამედ სეპარატიულ გამოყოფა-გაყოფაზე, რომელთა შორის არავითარი მსგავსებაც კი არ არის.

ეს ელემენტარული მცნებები ვერ შეუთვისებიათ ჩვენში სამინისტრო და [illegible] მოღვაწეებს და ტყუილ-უბრალოდ გვაკარგვინებენ დროს, ენერგიას ერთისა და იმავე ამბების მოყოლებით. ნუ თუ მუდამ ასე იქნება და სოციალდემოკრატიული საქართველოს შეგნებული დემოკრატია კვლავ დაიჯერებს, რომ ჩვენი მოთხოვნილება ეროვნულ საკითხის გადაჭრა ეროვნულ პრინციპს, ეროვნულ მთავრობის და პარლამენტის შექმნით, ამავე დროს ფედერალურ ასეთივე ორგანოების დაწესებით ნიშნავს გაყოფას, სეპარაციას, [illegible] უნდა ვეტრიალოთ იმ აუზში, რომელსაც მხოლოდ განზრახ სათვალთმაქცოდ ქმნის სოციალდემოკრატიული ფანტაზია?

სოციალდემოკრატები ყოველთვის იწყებენ ეროვნულ საკითხის და ეროვნულ პრაქტიკის გაწბილებას გამოყოფის, ე. ი. სეპარაციის და ავტარხიზმის თვალსაზრისით. ამ ამბრივ ბრძოლა ძალიან ადვილია, მაგრამ რა შუაშია აქ ფედერაცია და სოციალისტ-ფედერალისტები? თუ შეძლება აქვთ სოციალდემოკრატებს გააკრიტიკონ და დაარღვიონ სოციალისტ-ფედერალისტთა ეროვნულ შემოქმედების გეგმა თვით ფედერალიზმის გაკრიტიკებით, მაგრამ ფედერალიზმის გაკრიტიკებას ისინი ვერ ბედავენ და საკითხს მუდამ განზე აგდებენ.

„ერთობის" მე-65 ნომერში რედაქცია თავ-მომწონეთ სწერს: „ამიერკავკასია ისედაც მცირე ქვეყანაა, როგორც სივრცით, ისე მცხოვრებთა რიცხვით, ეკონომიურად იგი ერთ მთლიან ოლქს წარმოადგენს, საკმაოდ სუსტს თავის განვითარებით. მისი გათიშვა და განაწილება თვითეულ ნაწილს ეკონომიურად სრულიად უმწეო მდგომარეობაში ჩააყენებს, პოლიტიკურადკი მეზობლების სათამაშო ტიკინად აქცევს". აი მკითხველო ამას სწერს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საოლქო კომიტეტის ორგანო, ის ხალხი, რომელიც კანონმდებლობს, ბრძანებლობს, ბატონობს მთელს ამიერკავკასიაში. ამონაწერიდან ოდნავად მცოდნე გეოგრაფიის, ეკონომიკის, სტატისტიკის, კულტურის, ისტორიის მყისვე დაინახავს, რომ დამწერს არავითარი წარმოდგენა არ აქვს რეალურს ამიერკავკასიაზე, რომ ფანტასტიური გოროსკოპი ქმნის ფანტასტიურ ილიუზიებს ც და შემდეგ თვითონვე ებრძვიან ოცნებაში დასახულ სინამდვილეს. თურმე აღერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო ერთ ეკონომიურ ორგანიზაციას წარმოადგენენ! თურმე ეს ქვეყანა ბუმბერაზი იქნება ცენტრალიზმით, მაგრამ „ტიკინა" ფედერაციით!!

საბრალო ეკონომისტები და პოლიტიკოსები! აბა რა იციან, რომ საქართველოს და აღერბეიჯანის ეკონომიური და კულტურული ერთობის კვალი ყველა ადამიანს შეუძლია აღმოაჩინოს სხვა ყოველ სახელმწიფოსთან შედარებითაც. აღერბეიჯანთან და სომხეთთან ჩვენს ქვეყანას არავითარი ბუნებრივი კავშირი არ აქვს, გარდა ალებმიცემობისა, ხოლო ალებმიცემობას ჩვენ ამათზე მეტად ვაწარმოებთ რუსეთთან, ევროპასთან, ყველა სახელმწიფოსთან, მაშინ ჩვენ მსოფლიოსთან ნათესაობასა და ეკონომიურ ერთობაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

დღემდე ამიერკავკასია რუსეთთან იყო მთლიანი, დღეს ეს აღარ არის, ალბად სოციალდემოკრატიული პოლიტიკური ეკონომია ისევე იცვლება, როგორც გიგიქორის პორტფელები, მაგრამ მეცნიერების ამ ქურუმებს ერთი უნდა ვკითხოთ: თუ ამიერკავკასია ისედაც პაწია ქვეყანაა, რაღად გამოჰყავით რუსეთიდან? გაძღულნენ? ვინ? თუ რუსეთთან მთლიანობა კარგი იყო მიგეღოთ ბარემ საბჭოთა უფლებაც?

მაგრამ აშკარაა, მენშევიკებისათვის გამოყოფა კარგია, როცა პარტიისათვის სასარგებლოა, ფედერაციაც კარგი იქნება, როცა ეს მათ პარტიას დასჭირდება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იმის გამბედაობა კა უნდა გქონდეთ, რომ სთქვათ: რა შუაშია აქ ქვეყანა, ერი, სახელმწიფო! სთქვით, რომ პარტიისათვის საგანგებო ლოგიკა გაქვთ, საგანგებო ისტორია და ერსაც, ქვეყანასაც და მსოფლიოსაც პარტიისათვის იყენებთ.

დროა დრომოჭმულ, ყველგან გაკოტრებულს და ანტიდემოკრატიულ ცენტრალიზმს თავი გავანებოთ. ცენტრალიზმმა ბევრი სახელმწიფო დაღუპა, დაღუპა რუსეთიც და დაიღუპება ცენტრალისტური ამიერკავკასიაც. ერთი წელიწადია ამიერკავკასიაში შემოიღეთ ცენტრალიზმი, მაგრამ ვერაფერი გააკეთეთ, კიდევ უფრო აირია ცხოვრება, დღეს ძაღლი პატრონს ვერა სცნობს, მთავრობას არავითარი ძალა აღარ აქვს აღარც გავლენა. მთელი ამიერკავკასია სამოქალაქო და ეროვნულ ბრძოლის ცეცხლშია გახვეული და ამის მიზეზი, უმთავრესი მიზეზი, სხვათა შორის, სოციალდემოკრატიული ცენტრალიზმია. ცენტრალიზმმა ამიერკავკასიაში დახლართული კვანძები ინტერესებისა კიდევ უფრო დახლართა, დააბნია და ეხლა ამ ქაოსში გაზხლართულია სოციალ დემოკრატია. თუ მოგწონთ ასეთი მდგომარეობა—ბრძანდებოდეთ, მაგრამ ამ მდგომარეობას ჰქვიან ცენტრალიზმი.

ფედერალიზმის კრიტიკა უპადრუკია იმ მოსაზრებით, რომ საქართველო პატარაა. ეს პატარა საქართველო 5—6 ათას კილომეტრით დიდია ჰოლანდიაზე, თვრამეტ ათას კილომეტრით დიდია ბელგიაზე, აჭარბებს რამდენჯერმე ჩერნოგორიას, მეტია სერბიაზე. ხოლო ამიერკავკასია ხომ გაცილებით ბუმბერაზია. გარდა ამისა, ტერიტორიალური სიდიდე სრულიადაც არ არის ძლიერების ფაქტორი. პაწია ინგლისმა უდიდესი ტერიტორიები და მრავალ მილიონიანი სახელმწიფო ხელში ჩაიგდო, პაწია პრუსიამ თავისი ბრჭყალებში მოაქცია მთელი ავსტრია-უნგრეთი და გერმანული სახელმწიფოები. ხოლო თანამედროვე ფედერატიული გერმანია აპირებს მსოფლიოს ხელში ჩაგდებას (ცნობები ჩემს წიგნში—„ავტონომია და ფედერაცია"). აშკარაა უმთავრესია არა ბრბოები და ადგილები, არამედ თვითმომქმედი შეგნებული ხალხი, რომელიც ტერიტორიასაც გაიჩენს, ბაზარსაც და ძმობასაც განამტკიცებს.

დაქუცმაცების, გაყოფის, დაუძლურების პოლიტიკა სეპარატისტების პოლიტიკაა და სოციალისტ ფედერალისტების ფედერაციასთან მას არავითარი კავშირი არ აქვს. ეს ძალიან კარგად იცის „ერთობამ", მაგრამ განზრახ მალავს, მალავს, ვინაიდან თუ არა სიმართლის და სინამდვილის გადაფუჩეჩებით მათ არ ძალუძთ შეურყეველ ნიადაგის შერჩენა. რასაკვირველია ამ სიყალბით სოციალ-დემოკრატები ვერ შეძლებენ ვერც ფედერაციის გაწბილებას და ვერც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის.

თედო ღლონტი.

ომი

ვენა. 2 აპრილი ავსტრო ჰუნგრეთის ოფ ციალური ცნობა (დილის). დასავლეთი ფრონტი. ბრძოლის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. მტერმა იერიშები მიიტანა ნებუდერზე და განსაკუთრებით გაწარმოებული იერიშები მიჰქონდა ვონზე, მაგრამ მათთვის ამ იერიშებს არავითარი ნაყოფი არ გამოუღია. ავროსა და ლუსბახენის შუა მოწინააღმდეგე ძალიან დაზარალდა. ავრია და უაზის შუა იყო მცირე შეტაკებანი. ფრანგებმა დაუშინეს ტყვია-წამალი ლუვონს, რამაც მშვიდობიან მცხოვრებთა დიდი ნაწილი დაზარალა. მაასის აღმოსავლეთით ბომი-ომონტთან და სამხრეთ დასავლეთით ტანისა ჩვენმა მზვერავმა რაზმმა რამდენიმე ტყვე ჩაიგდო. გუშინ 22 ჰაეროპლანი მოწინააღმდეგისა ჩვენ სროლით მოვიგერიეთ. ლეიტენანტმა კროლმა დაიქვეითა მე 23 ჰაეროპლანი, როცა მას გაბედულად შეებრძოლა ახლო მაქილზე. სომას სამხრეთ ნაპირზე მესამე საჰაერო რაზმი ფრიკეს კომანდით ჩვეულებრივ დაჰფრინს. სხვა ფრონტებზე არაფერია.

პარიზი. 2 აპრილი. ეიფელის კოშკის რადიოსადგურიდან მ ღებულია. მთელი დღის განმავლობაში გაცხოველებული ბრძოლა სწარმოებდა არტილერიისა, მეტადრე ინტენსიური მონდიესა და ლასინის შუა. ფრანგულმა ბატარეებმა თავის ცეცხლს მოაყოლეს გერმანიის ჯართა დიდი ჯგუფი, კანტინის აღმოსავლეთით რომ იდგა. ძლიერი რაზმი გერმანელ მზვერავებისა, რომელიც ფრანგის ჯარმა უაზის მარცხენა ნაპირას დაიჭირა, დარბეული იყო ეგრსა და ზეითა ელზასში გერმანელების ხელჩართული იერიშები უნაყოფონი იყვნენ იმათთვის. დანარჩენ ადგილას არსებითი არა მომხდარა რა.

პარიზი, 22 მარტი. თარგმანი ფრანგულიდან. მთელი დღის განმავლობაში ქვეითა ჯარს არ უმოქმედნია. საარტილერიო განსაკუთრებით ძლიერი ცეცხლი მონტინგიეს ჩრდილო რაიონში იყო.

სტამბოლი, 2. 4. მიღებულია ოსმანიის სადგურის მიერ.

პალესტინის ფრონტი. მდინარე იორდანის ნაპირზე მთელ ფრონტის სიგრძეზე მოჰხდა საარტილერიო შეტაკება. ჩვენმა შემტევმა კოლონებმა და ჯარებმა მიაღწიეს ფრონტს მესრაანს და სენტპილის. მთელმა ჩვენმა საფიცრო პატრულმა მოწინააღმდეგის უკან დახევინა და ძალიან დააზიანა. მდ. იორდანის აღმოსავლეთით მტრის ჯარები დამარცხებული არიან. მათი დევნა გრძელდება. დანარჩენ ფრონტებზე არსებითი არა მომხდარარა.

ინგლისის ცნობა.

მიღებულია უცნობ ინგლისურ რადიო სადგურისგან ინგლისურ ენაზე. ინგლისელმა ჯარებმა მდ. ეფრატზე, რომელნიც ბაღდადსა და მესოპოტამიას შუა იმყოფებიან, სრულებით და[illegible] რწმენა საკუთარ ძალებისა და [illegible]ბის [illegible].

ბოლშევიკების მოწოდება

ბაქოში შესდგა რევოლიუციის დამცველი კომიტეტი, რომლისგანაც ტფილისში ასეთი მოწოდება მოვიდა: სახალხო კომისარების საბჭოს მტრებმა თავი წამოჰყვეს. სიძულვილი და ბოროტება, რომელსაც ისინი გრძნობდნენ სარევოლიუციო ორგანოს მიმართ, ეხლა საშიშ სახეს იღებს „დიკი" დივიზიის შტაბის აქ გაჩენა, ამბები ლენქორანისა, მუღანისა, შემახისა, პეტროვსკის დაჭერა დაღესტნის პოლკის მიერ, დაკავება პურისა, რომელიც ბაქოში მოდიოდა, განჯის მუქარა და უკანასკნელ დროის ტფილისისაც გაილაშქროს ბაქოში საბჭოს ძალა-უფლების წინააღმდეგ, აგრესიული მოქმედება ამიერკავკასიის კომისარიატის ჯავშნოსან მატარებლისა აჯიკაბულში და, უკანასკნელ, აღვირაყრილი, თავხედური მოქმედება „დიკი" დივიზიის რაზმისა, რომელმაც „ევლიიანის" გემზე დაჰხვრიტა ჩვენი ამხანაგები,—ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბოროტი გეგმები და განზრახვები აქვთ იმ კონტრ-რევოლიუციონერებს, რომელნიც უმთავრესად თავს იყრიან ბეგების პარტიის „მუსავათის" გარშემო და რომელთა მიზანია ჩამოაგდონ ბურჟუაზიისა და მემამულეთათვის დაუძინებელი მტერი—სახალხო კომისართა საბჭო, შემუსრონ ძალა უფლება მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების ბაქოს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა. ამისათვის სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტი კავკასიის ჯარისა უცხადებს ყველა ამხანაგს და მოქალაქეს, რომ საბჭოს ძალა-უფლება ბაქოში განსაცდელშია და მოუწოდებს იარაღით ხელში დაიცვან იგი მმართველობა ხალხის მტრისაგან. რევოლიუციის ერთგულთ მოუწოდებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოთ. საბჭოს დროშის ქვეშ. ნაციონალისტები „მუსავათის" პარტიისა და მათი მიმყოლი კონტრ-რევოლიუციონერები, რომელნიც მაჰმადიანთა სახელით ლაპარაკობენ, პირველ ყოვლისა მაჰმადიანთა მშრომელ ხალხის შეურიგებელი მტრები არიან, მოუწოდებთ მაჰმადიანებს და სომხებს—მუშებს, აგრეთვე დემოკრატიულ ელემენტს ამ გადამწყვეტ წუთას აშკარად იარაღით ხელში იბრძოლოთ რევოლიუციის დამცველ კომიტეტის წითელ დროშის ქვეშ. ძირს ნაციონალისტები და კონტრ-რევოლიუციონერები! გაუმარჯოს რევოლიუციონურ ძალა-უფლებას საბჭოისას!

დროებითი არაჩვეულებრივი კომისარი კავკასიის საქმეთა **შაუმიანი.** ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე **ჯ. ჯაფარიძე.** კავკასიის წითელ ჯარის სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარე **ყორღანოვი.** ბაქოს კომიტეტის თავმჯდომარე **ი. ხუხარცევი.**

ცხინვალის გარშემო

19 მარტს საშინელი დრამა დატ რიალდა დ. ცხინვალში. გამხეცებულ ოსების უჩილთა ბრბო და მათ მიე ძალით ჩათრეული შეუგნებელი ქარ ველი გლეხობა, დაესხა ცხინვალს ააწიოკა იგი. გაძარცვეს სახლები დუქნები, დასწვეს მთლად ვენახ და ბაღები, დახოცეს გამოჩენილი ბრძოლნი, და ააწიოკეს ქალები და ვაჟები. არ იყო გარჩევა ღარიბისა მდიდარს შორის, დამნაშავეებსა უდანაშაულოების შორის. ყველა აა ოკეს და ყველაფერი გაძარცვეს. ხმლებს (გლეხის შვილებს) იჭერ და აწვალებდნენ. ბევრი მათგანი ხვრიტეს და დანარჩენებს, ტყვედ ვარდნილთ იგივე ხვედრი მოელითო. მთელ ცხინვალს იარაღი აჰყარეს, ბლაგვი დანაც არ დატოვეს მტრები მოსაგერიებლად. ბავშვების და ქალ ბის ტირილი გლოვის ზარისავით სმოდა მთელ ცხინვალში ერთ ხრივ ადამიანი თრთოდა და კან კალებდა ხიშტის ქვეშ და მეორე ხრივ გარშემო მოკიდებული ცეცხლ მიშის ზარსა სცემდა მას. გამოსალ ქრება ამ ეხვეების ეხრივ წინად იყო და უნდა ვიყოთ დარწმუნებულ ბი ვართ რომ ეს გამოლაშქრება იქნება უკანასკნელი, არამედ კი განმეორდება თუ მთავრობა მკაცრ ზომებს არ მიიღებს მათ წინააღ-დეგ

ცეცხლსა და მახვილს მისცა მთელი ხალხის ქონება და თვით ხალხი ოსების ყაჩაღთა ბრბომ. პირველი შემოხევა არ არის ის, რომელსაც 19 მარტს ჰქონდა ადგილი.

ეს დრამა მჭიდროდ დაკავშირებულია წინანდელ ოსის ბრბოს გამოლაშქრება ხან ჟითომ და თავად-აზნაურობის წინააღმდეგ, მაგრამ ირკვევა ამ გამოლაშქრების მიზნად ჰქონდა აირალის შეძენა. მკითხველმა კარგად იცის, რომ ამ თვე-ნახევრის წინად ყორნისის ოსები დაეცნენ თავად აზნაურთა ოჯახებს (თუმცა გლეხებსაც არ აფარებენ ხელს), გაძარცვეს. დააწიოკეს და იარაღი აჰყარეს, გარდა ამისა სამი ძმა მერხეულიძეები წუთისოფელს გამოასალმეს, ამ ბრბოს უნდოდა ცხინვალშიც შემოსულიყო და იგივე გაემეორებინა. მაგრამ, გაიგეს თუ არა ცხინვალელებმა მათი ზრახვანი, მკაცრი წინააღმდეგობა გაუწიეს და არ მისცეს საშუალება ხალხის დაწიოკებისა. პირველი გამოლაშქრება ასეთი ფიასკოთი დამთავრდა და ბრბოც დროებით დაიშალა. მიაღწია თუ არა მთავრობის ყურამდე ამ ამბავმა, სწრაფად გამოგზავნეს რაზმი რიცხვით 200 კაცამდე, ისიდორე რამიშვილი და საგუბერნიო კომისარი ჯაფარიძე ანარქიის სალიკვიდაციოდ. ამათი მოსვლისთანავე გაიმართა გრანდიოზული მიტინგი მთელი ცხინვალის რაიონისა. მიტინგზე ილაპარაკეს ჯაფარიძემ და რამიშვილმა, აუხსნეს ხალხს თუ რა შედეგი მოჰყვება ამ ანარქიას, თუ მან ფეხი მოიკიდა. დაადგინეს—მიიღებულ იქმნეს მკაცრი ზომები ამის წინააღმდეგ. მეორე დღეს რაზმმა იარაღი აჰყარა ზემო-ხიდითელებს, რომლებიც იღებდნენ მონაწილეობას ანარქიაში. მეოთხე დღეს უკვე ნაწილი ტფილისის და ცხინვალის რაზმებისა გაემგზავრა ყორნისში იარაღის ასაყრელად. მაგრამ, ვიდრე ისინი იქ მივიდოდნენ, მათ უკვე ზომები მიიღეს საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მთელი ყორნისის რაიონის ოსები დარაზმულიყვნენ, თხრილებში ჩამსხდარიყვნენ და ელოდნენ რაზმელებს. რაზმელებმა, გაიგეს რა მათი ძალთა განწყობილება, ვერ გაბედეს შებრძოლება მათთან და უკანვე დაბრუნდნენ. წესიერების აღსადგენად და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად ტფილისიდან გამოიგზავნა კოსტა ყაზაშვილი. მან ყოველი ზომა მიიღო ანარქიის ჩასაქრობად. მოსულ ჯარისკაცებს იარაღს ჰყიდდა, თვალყურს ადევნებდა, რომ იარაღი არ გაეპარებიათ ოსებში.

14 მარტს იგი გაემგზავრა თავისი რაზმელებით იარაღის ასაყრელად სოფ. ერედვში, სადაც ყაჩაღობას და ავაზაკობას ფეხი მოეკიდა. გაიგეს თუ არა ამ „სოფლის გმირებმა“ რაზმელების მოახლოება, უმალ გაიჭრნენ თავიანთ იარაღით ტყეში, საიდანაც ასტეხეს სროლა და თავს უშველეს. გვარდიელების განზრახვამ ძალიან ააშფოთა „ერედველი გმირები“ და შემოუთვალეს მუქარა, რომ მათი განზრახვა მათ თავზე აღსრულდება, ე. ი. მათ თითონ ჩამოართმევენ იარაღს. მუქარა ძალიან რიხიანი იყო: ეტყობოდა ერედველებს ვინმე აქეზებდა და უმაგრებდა ზურგს. მართლაც, 16 მარტს ერთი მხრივ ცხინვალს ლიახვს გაღმა ჩუმად შემოერტყა ვანათის ხეობის საზოგადოებას და აუტეხა სროლა.

გ. ქ—ლი

(დასასრული ხვალ)

ახალი ამბავი

◆ **წ.-კ. საზოგადოებაში.** 20 მარტს შესდგა ქ. შ. წ. კ. ს. მთავარი გამგეობის მორიგი კრება გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა საზოგადოების მდივნის ვ. ბურჯანაძის მოხსენება ჩვენი სკოლების მდგომარეობის შესახებ და დაადგინა:

1) გადიდდეს ჯამაგირები იანვრიდან 2520 მან. წლიწადში საზოგადოების სკოლების მასწავლებლებს და ამ ნორმის მიხედვით შეტანილ იქმნას 1918 წლ. ხარჯთ-აღრიცხვაში: ატენის, ვარიანის, საგურამოს, ყალმშის, წერაქვის, ნავთლუღის, ზუგდიდის, წინარეხის, მოიდანახეს, გეგუთის და შრომის სკოლების მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლად 27,720 მან. ამ ანგარიშით თითოეულ ზემოდასახელებული სკოლის მასწავლებლებს მარტის გასულს მიეცეს 630 მანეთი, მიღებულ 240 მან. გამოკლებით.

2) წ. კ. ს. სკოლების დრო-გამოშვებით დათვალიერება მიენდოს ადგილობრივ მცოდნე პირებს და საგზაოც მიეცეთ ფაქტიურად გაწეულ ხარჯების მიხედვით. სიღნაღის მაზრაში არსებულ სკოლების (ნუკრიანის და შრომის) რევიზიის მოხდენა მიენდოს ნ. დ. ყაზბეგს, თელავის—გრ. ბურჭულაძეს, ზუგდიდის და მოიდანახეს—ვლადიმერ გაგუას, ბათომის—ილ. ფერაძეს, სოხუმის—პეტრე ჭარაიას, ატენის, ვარიანას, (გორის მაზრა) კირილე არველაძეს, წერაქვის, ყალმშის—ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების კომისიას, ნავთლუღის—სიქციის ერთ ერთ წევრს, ეთხოვოს ხსენებულ პირთ თავისი სარევიზიო აქტი წარმოუდგინონ საზოგადოების გამგეობას.

3) ატენის სკოლაში სწავლა განახლდეს. გამგეობამ განიხილა აგრეთვე წ. კ. ს. მოსამსახურე პირთა მოთხოვნილებანი ჯამაგირების მომატების შესახებ და დაადგინა: მოემატოს მოსამსახურე პირთ ჯამაგირები 65%—90%-მდე.

◆ **ცხინვალის დრამა.** ცხინვალის დრამის სალიკვიდაციოთ გორის სოციალისტ-ფედერალისტთა სამხედრო ორგანიზაციამ გამოყო ორასი შეიარაღებული რაზმელი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ცხინვალის დრამის ლიკვიდაციაში. რაზმი გორთან კავშირისათვის აწყობს საველე ტელეფონს.

◆ **არჩილ ჯორჯაძის ბარათები.** ოთხშაბათს 21 მარტს ღამის თორმეტ საათზე ამხ. დ. უზნაძემ, თანახმად კიტა აბაშიძის უკანასკნელი სურვილისა, გახსნა არჩილ ჯორჯაძის პაკეტები, რომელნიც არჩილის კერძო მიწერ-მოწერას შეიცავენ. წერილები, რომლებშიაც თვით არჩილის სიტყვით „მთელი მისი სულის ინტიმური ნაწილი გამოხატული“ მრავალ მხრივ საინტერესოა არჩილის ბიოგრაფიისათვის, და ზოგჯერ მისი შემოქმედების ზოგი მხარის სათანადო გაგებისათვის.

◆ **მოსკოვის მცხოვრებ ქართველების მშობელთა და ნათესავთა საყურადღებოდ!** შაბათს 24 ს, მიემგზავრება მოსკოვში შიკრიკი და ვისაც სურს წერილების გადაცემა შეიტანოს რედაქციაში.

◆ **აჯიკაბულიდან** ჯავშნოსან მატარებლის უფროსი გოგვაძე ატყობინებს მთავრობას: აქ-ტაფასა და აჯიკაბულს შუა სარევოლიუციო წესიერება მყარდება. ვაწყობთ ლიანდაგის დროებით დაცვას. საჭიროა ერთი ჯავშნოსან მატარებლის გამოგზავნა ჩემთან. მაჰმადიანები იკრიბებიან ბაქოს გარშემო, სადაც, როგორც გადმომცემენ, ბრძოლა სწარმოებს.

◆ **ქართველ ქალთა სანიტარულ** რაზმის კომისია აცხადებს რომ მოწყალე დების კურსებზე ლექციები დაიწყება დღეს, გაგრძელდება 3—6 საათამდე. ბინა: ქსენიას ქ. მელიქიშვილის სამკურნალო. პრაქტიკული მეცადინეობა იქნება ქალაქთა კავშირის მე-51 ლაზარეთში.

◆ **ქართული კლუბი.** კვირას, 25 მარტს, ს. ტაიფუნი ჟურ. „პირველი ნაბიჯის“ ფონდის გასაძლიერებლად გამართავს „დილა-მეჯლისს“. არშ. ზურაბოვი წაიკითხავს რუსულ ენაზე ლექციას: „ომი და ოსმალეთი“, ვ. აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის და შოთაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ვალ. შალიკაშვილის ახალი შარჟი: „მოქალაქის სიზმარი“. სალიტ. განყ. მონაწილეობას მიიღებენ: თაგუნა, გ. ქუჩიშვილი, შ. დადიანი, ლეო ქიაჩელი, ს. პართენაშვილი, ობოლი მუშა, ს. ტაიფუნი, დ. მ ჩინგური, დ. ლიხელი, ს. ერთაწმინდელი, ვ. ბარველი, პ. ფრანგიშვილი და სხ. დასასრულ „ვაი-ვუის“ იმღერებენ ვ. აბაშიძე და ნ. გოცირიძე. დასაწყისი დღის 11 საათზე.

ზავი ბაქოში.

ბაასი ბაქოსა და ტფილისს შუა პირდაპირი მავთულით 21 მარტს საღამოს 7 ს. 30 წ.

ზავი ბოლშევიკებსა და მაჰმადიანებს შუა შეიკრა ასეთ პირობებით: 1. აღიარება სახალხო კომისართა საბჭოსი და დაქვემდებარება ყველა მის განკარგულებათა; 2. დაშლა „დიკი“ დივიზიისა, როგორც კონტრ-რევოლუციონერისა; დანარჩენი ეროვნული ჯარები, მათ შორის სომხისა უნდა გაყვანილნი იქმნენ ბაქოს რაიონიდან ანდა უნდა დაექვემდებარნენ სახალხო კომისართა საბჭოს; 3. გახსნა მოძრაობისა ტფილისამდე და პეტროვსკამდე. იარაღი ჩააბარეს და ეხლაც აბარებენ. სადგურების: ეიბათ, კეტი, ჩერნოგოროკას და სანგაჩალის მოსამსახურენი გაიქცნენ თათრების თავდასხმის გამო.

კითხვა. სროლა ხომ არაა ქალაქში და სიწყნარე ჩამოვარდა თუ არა?

პასუხი. დილიდანვე მშვიდობიანობა იყო და ქალაქიც ნელნელა მშვიდდება. ზეითა ბაზარს ცეცხლი თუმც უკიდია, მაგრამ არა ვრცელდება.

კითხვა. ვინაა ცნობილ საზოგადო მოღვაწეთაგან მოკლული?

პასუხი. ამბობენ, რომ მოჰკლეს ჯახთაროვი, ასადულაევი და სხვანი რომელთა გვარები არ დაასახელეს. მესსა ნაგიევი და ტაგიევი ტყვეთ არიან. ბოლშევიკების ბელადებიდან არავინ დაზარალებულა. მათ შორისაც არიან მოკლულნი, მაგრამ ვინ არ იციან. არის პირი, რომელმაც ნახა ჯევანშირსკის ხელი, ულტიმატუმის პირობებზე მოწერილი.

კითხვა. გამოირკვა რიცხვი დაზარალებულებისა?

პასუხი. ჯერ არა. რა გავიგებ, შეგატყობინებთ.

რუსეთის ფრონტებიდან საქართველოში

როდესაც ძველად არგონავტებმა გასცურეს მრავალი კუნძულები და შორიდან უკვე გამოჩნდა პელოპონესის სამშობლო ნაპირები, ლეგენდის თქმით, ამოვარდა სასტიკი ქარიშხალი, და ცხრა დღე-ღამის განმავლობაში ანავარდებდა მათ ხომალდს ლიბიის ზღვის მბორგავ ტალღათა შორის. ბოლოს ხომალდი გარიყულ იქმნა უდაბურ აფრიკის ნაპირზე, სადაც მყრალი ჭაობის ყვითელი ქაფი ეტმასნებოდა ქვიშიან სალტედ. ირგვლივ სიკვდილის მეტყველება. არგონავტები შეშინდნენ.

— „ვაი ჩვენდა“,—ეუბნებოდნენ ერთი მეორეს.

— „რა ქვეყანაში მოვხვდით? სად გადმოგვრტყორცნა ქარიშხალმა“ ო?— „დიახ, ეტყოდა მათ ანკეოსი,—აქედან ვერავითარი ძალა ვერ გაგვიყვანს. აღარ არის არავითარი იმედი, რომ ჩვენ სამშობლოს მივაღწევთო“. ასეთი უიმედობა და სასოწარკვეთილება განვიცადეთ ჩვენ, რუსეთიდან დაბრუნებულ ქართველებმა, და ამ მგზავრობის შესახებ მსურს ჩემი შთაბეჭდილებები გაუზიარო ჩვენი გაზეთის მკითხველებს. იგი შთაბეჭდილება საინტერესოა, არა როგორც მგზავრობა, არამედ როგორც დასურათება რუსეთის უსახო სინამდვილისა.

დორპატში.

რიგის აღებიდანვე დორპატში ცხოვრება ძალზე დაძაბული იყო. და ეს მდგომარეობა კი გაძლიერდა საზავო მოლაპარაკების შემდეგ. იმ საზავო მოლაპარაკების, როდესაც ტროცკი მ. დიპლომატიის ცივ დარბაზში, პატრიოტულ ჟესტით სცადა გულ-ცივ იმპერიალისტთა მოქცევა, როდესაც ძალაუნებურად ტოლსტოის რეცეპტით მოუხდა რუსეთის ბედის გადაწყვეტა. დიახ, განგაში დიდი იყო.

მაგრამ ამავე დროს იყო დინჯი მდგომარეობაც. და ეს ორგვარი მდგომარეობა ერთმანეთს როდი უშლიდნენ პარალელად მისდევდნენ ერთი მეორეს. განგაში იყო რევოლუციის აქტიურ მონაწილეთა ბანაკში. მათ ეშინოდათ თავისუფლების დაკარგვის, ეშინოდათ აღორძინების გზაზე დამდგარ ესტონეთის კვლავ იმპერიალიზმის ხრამში გადაჩეხვის. დინჯობდა და ჩუმ მუშაობას აწარმოებდა ბურჟუაზია, მემარჯვენე ინტელიგენციის თანამშრომლობით. მათ ბანაკში განგაში არ ატეხილა. ან რად ატყდებოდა, როდესაც მათი წარმომადგენლები უკანა კარებიდან ფარულად იპარებოდნენ გერმანელ პოლიტიკოსთა სალონებში, და სამშობლოს „ხსნაზე“ ეთათბირებოდნენ რკინის პრუსიელებს? ტენისონზე ბევრს ლაპარაკობდნენ. იგი პირველ სახ. სათათბიროს წევრი იყო, ესტონელ „რადიკალ-დემოკრატიულ“, ნამდვილად კი ბურჟუაზიული პარტიის ბელადი. რამდენჯერმე დააპატიმრეს იგი ბოლშევიკებმა, შემდეგ გაიქცა გერმანიაში, და იქ ადგენდა გეგმებს, ესტონეთის განთავისუფლებისას. ვისგან?—ბოლშევიკებისგან, სოციალისტებისაგან. ვისი საშუალებით? — გერმანელ იუნკრების. რა ირონიაა, მაგრამ ასეთი ირონიულია მუდამ ბურჟუაზიის „ეროვნული პოლიტიკა“.

სხვათა შორის უნდა ვთქვა, რომ ბოლშევიზმი დორპატში და საზოგადოდ ესტონეთში უსისხლოდ შემოვიდა. წყნარადაც მიმდინარეობდა. იყო მყუდროება და „სარევოლუციო წესიერება“, როგორც ამბობენ ხოლმე ეს სხვათა შორის იმის შედეგია, რომ ესტონელები გაცილებით მაღლა სდგანან განათლებით, ვიდრე რუსთა მასსა, თანაც ხალხი ზომიერია, დინჯი, ცივი. და ბოლშევიზმის დროშის ქვეშ სწარმოებდა საღი ეროვნული აღმაშენებლობა. ეს, რასაკვირველია, ბოლშევიზმის, როგორც მარქსიზმის წინააღმდეგი რამ მოვლენაა, მაგრამ განა დღეს რუსეთის მთელი მარქსიზმი, როგორც ბოლშევიზმი ისე მენშევიზმი წინააღმდეგობათა ქსელი არ არის? ხოლოდ ამ ორ ფრთას შორის ის განსხვაა, რომ მენშევიკები თეორიის თავ-დახურულ ქვევრში იხრჩობიან, ბოლშევიკები კი ამ ქვევრის სარქველს ჰხდიან, და უშვებენ საღ ნაკადს, ცხოვრების ახალ ძალას.

დიახ, მყუდროდ მიმდინარეობდა ბოლშევიზმი დორპატში, და მყუდროდვე მუშაობდა ესტთა ბურჟუაზია. და როდესაც მთავარსარდალ კრილენკოს ბრძანებით, 9 თებერვალს დილით ჯარმა დასტოვა ქალაქი და ფსკოვის შარა გზით დასახვევად წამოვიდა, თურმე თეთრ რაზმს როდი ეძინა. 9 თებერვალსვე, შუადღის 12 საათზე, თეთრმა რაზმმა ალყა შემოარტყა მუშ. და ჯ. კაცთა საბჭოს, დაატუსაღა ყველა ვინც ხელთ მოხვდა, და შემდეგ მთელ ქალაქში იწყო ძიება სხვა ბოლშევიკების და მათ თანამგრძნობლებისა. როგორც მესამე დღეს გავიგეთ, ეს დაჭერილები, რიცხვით 200 კაცამდე, გერმანელებს დაუხვრეტიათ, ემბახში (მდინარეა) ყინული ამოუკვეთიათ და იქ ჩაუყრიათ. დასაფლავების ახალი წესი თუ არის ეს უმსგავსობა.

მატარებელთა მისვლა-მოსვლა შეწყდარი იყო. ისე რომ ვინც ვერ მოასწრო, უნებურად გერმანელების ტყვედ დარჩნენ. გამოქცევა მოასწრო მეტად მცირე რიცხვმა. სხვათა შორის დარჩა თერთმეტამდე ქართველი სტუდენტი. მე სრულიად შემთხვევით 9 თებერვალსვე ღამით გამოვყევი საერობო კავშირის სანიტარულ მატარებელს; 10 თებერვალს დილით კი, რიგის შარა გზით გერმანელთა მოწინავე ჯარი დორპატში შემოვიდა. თეთრი რაზმი და ხალხი, ეროვნული დროშებით, ორკესტრით, პურ-მარილით და სხ.. დახვედროდა გამარჯვებულებს. რატუშზე და სახლებზე ესტონელებს გადმოეშვათ ეროვნული ბაირაღები, მაგრამ მეორე დღეს მათ ნაცვლად გერმანელების დროშა გადმოფრიალდა. ეს პირველი სიმბოლოა ბატონობის, და რას ფიქრობდა მათი მოტრფიალე ბურჟუაზია ამგვარ „ხსნაზე“ არ ვიცი. ვიცი ის, რომ ჩამორთმეული მიწები და ყველაფერი ძველ პატრონებს დაუბრუნეს, და ბურჟუაზიასაც ეს უნდოდა. რევოლუცია, და ერი ბურჟუაზიის დახლზე გაიყიდა [illegible]

პეტერბურგში.

წამოვიდა ჩვენი მატარებელი მძიმედ, დარბაისლურად, ფრთხილად. თითქოს ეს უსულო მანქანაც კი გრძნობს მტრის მოახლოვებასო. ტაპთან გაგვაფრთხილეს, შეიძლება მატარებელს ესროლონ და ნუ შეგეშინდებათო. სასაცილოა ამ გვარი განცხადება, ამ გვარ განსაცდელის დროს. ე.ი. შეიძლება დაიხოცნეთ, და ნუ შეგეშინდებათო. ახირებული ჩვეულება აქვთ ზოგიერთებს. თუმცა უნდა გითხრათ, რომ თვით გამფრთხილებელს ყველაზე მეტად ეშინოდა მგონია. წამოვედით. დღე ღამეში მხოლოდ ათი ვერსი გავიარეთ. გზა დატვირთული იყო ათას გვარ მატარებლებით. მორბოდა ჯარი, მორბოდა ხალხი, ასაქცევი გზა აღარ იყო. ნაროვას ხიდს გამოვასწარით. მეორე დღეს დილით, ნაროვას ხიდი ააფეთქეს ესტონელთა თეთრმა რაზმმა, ისე რომ ნაროვას იქითა ნაპირი სრულიად მოსწყდა აქითა ნაპირს, ე. ი. პეტერბურგს [illegible]. პეტერბურგში მოვედით 12 თებერვალს, ღამით. პეტერბურგმა ჩვენი მატარებელი არ მიიღო. ტოსნოთი უნდოდათ მოსკოვისკენ წაგვსვლა, ნიკოლოზის გზაც შეკრული იყო. რჩებოდა ჩრდილო ციმბირის გზა, და ჩვენი მატარებელიც ამ გზას გაუყენეს. პეტერბურგში საალყო წესები იყო გამოცხადებული. ვარშავის სადგური სამხედრო ბანაკად იყო ქცეული. ხოლოდ მატროსები და წითელი რაზმი სჩანდა. სასწრაფოდ აწყობდნენ დაჭრილთა თავშესაფარს. ჭრილობათა შესახვევ ოთახს და სხ.. ბევრს ჩვენგანს სწყუროდა პეტერბურგის ნახვა. მეტადრე იმათ, ვისაც კარგა ხანი უცხოვრია შიგ და განუცდია ამ პირქუშ ქალაქის სასტიკი სილამაზე. იქნებ უკანასკნელი ყოფილიყო მისი ნახვა. ჩვენ ასე გვქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ სურვილი ვერ განვახორციელეთ, და მეორე დილით ჩვენი მატარებელი მისცურავდა ზანტი ქშენით ვოლოგდისაკენ. რა კონტრასტი იყო. პეტერბურგში ვერ შევედით. პეტერბურგს მაჯის ცემას ვერ მივუგდეთ ყური. განსაცდელის მომლოდინე ქალაქმა არ მიგვიშვა, მაგრამ მაინც ვიგრძენით მდგომარეობის მთელი სიმძაფრე. რევოლუციის ცენტრი, თავისუფლების აუზი მძლედ ტორტმანებდა და შორს ისმოდა მისი აჩქარებული მაჯის ცემა. ახლო არ მიგვიშვა,—მაინც გავიგეთ. გულში ვერ ჩავხედეთ, მაგრამ ვიგრძენით, და მე უცხოულ რაღაც მშობლიური გრძნობის ძაფი შემეტოკდა. მაგრამ გამოვცდით რაღაც 50 ვერსს და... აღარაფერი. უდაბურ გზას მხოლოდ ჩვენი მატარებლის უგნო წივილი თუ არღვევდა, თორემ სხვაფრივ თითქოს ძველებური მყუდრო ცხოვრება მიიზლაზნებოდა. აღარც მტრის შიში, არც რევოლუციის დარაჯობა, არც მატროსები, არც გვარდია. ერთად ერთი რაც გვაგონებდა პეტერბურგს, ეს უპურობა იყო. და რომ ამ ხალხისთვის მიგეცათ პური, ძველი მყუდროების იდილია შესრულდებოდა. ჩვენც თითქოს დავწყნარდით.—„როგორც თვალი შორს, ისე გულიც შორსო“—იქაც აცხადდა ეს ქართული ანდაზა. და ეს „საწყნარე“ დაარღვია ისევ პეტერბურგიდან შემოჭრილმა ძალამ.

პეტერბურგიდან მატარებელი დაგვეწია და მოგვიტანა გაზეთი. ერთი გაზეთი. რა განცდა იყო ამ გაზეთის კითხვის დროს. შავი, დიდი ასოებით უყვიროდნენ, რომ წითელი პეტერბურგი განსაცდელშია, ეძახიან მუშებს რევოლუციის აკვნის დასაცავად. ბევრნი ტიროდნენ, მეტადრე ქალი ექიმები და სათნო დები. მე კი ყველაზე მეტად იმ მომენტის განცდა ვიხატრე, რომელიც განუცდია პეტერბურგის მცხოვრებლებს ღამის 13 თებერვლის შუა ღამეს. სასტიკი ღამე, პირქუში, გულჩახვეული, ცივი. ახლოს აწეულ პეტერბურგს სძინავს მოქანცულ ძილით. მაგრამ არ სძინავს ბარიკადების ხალხს. ან რა დროს ძილია, უკანასკნელ წუთებს ითვლიან. და აი, ბნელ, ცივ ღამეს, მკვეთრი ხმით [illegible] სასტიკი საყვირი. ქარხანა ქარხანას მოუწოდებს საშიში ხმით. მუშებს ეძახიან. გერმანელთა შემოსევა [illegible]. მუშები მიიწევენ ქარხნებისკენ უქუდო, უპალტოვო. შუაღამისას მიტინგები, იწვევ სიტყვები... იარაღს არიგებენ. მუშები იარაღდებიან. შეიარაღდნენ და ნაწილი იმ ღამესვე გავიდა გერმანელთა შესაჩერებლად. ტოლსტოის უწინააღმდეგობა ბოროტის წინ, ბრესტის სასოწარკვეთილ დეკლარაციამ რომ მოიშველია, ვერ გატარდა ცხოვრებაში. თვითდაცვის ინსტინქტმა გაიღვიძა. პეტერბურგი შეტორტმანდა არაბულ ცხენივით, ფაფარი შეირხია, და განრისხებულ სტიქიის აჩქარებულ თრთოლვით განემზადა მტრის დასახვედრად...

ვოლოგდა.

დიდი ვაი ვაგლახით მივაღწიეთ ვოლოგდას. აუარებელი ჯარის კაცები იყვნენ სადგურზე და სადგურის ახლო. გაზეთებს გაფაციცებით კითხულობენ.

პეტერბურგის ბედი არც იმდენად აინტერესებთ. ზავი უნდათ. ზავს ეძებენ, და რა მსხვერპლს მოითხოვს მისი საკურთხეველი, ამაზე როდი საუბრობენ. ან რა იციან? და ვინც იცის, ის კი ენთება პატრიოტულ გრძნობის წმინდა ალით? ნაკლებად. რუსეთში პატრიოტიზმი მე ვერა ვნახე. ყველაზე მეტად რუსის ხალხს ეს გრძნობა აქვთ განუვითარებელი. რომ არც სჭირდებოდა? და როცა დასჭირდათ, არ აღმოაჩნდათ. ეხლა, როდესაც რუსეთმა რღვევის ძალა უფრო მეტი აღმოაჩინა, ვიდრე საალმშენებლო, და გარედ კი მორტირ-ზარბაზნით მეფენი რკინის სალტებს არტყამენ და ავიწროვებენ, სწორედ ეხლა, მოლიპულ გზაზე დამდგარი ერი თავისში აღვიძებს მინელებულ მამულიშვილურ აღფრთოვანებას, მაგრამ დაიგვიანდა.

დიდი ხრამის პირას სდგას რუსი ერი და მის გულში ინტერნაციონალიზმის ნაცვლად ცივმა შიშმა დაისადგურა. მართლა რომ საშიშია დღევანდელი რუსეთის სინამდვილე.

მოსკოვში.

თუ პეტერბურგი ვერა ვნახე უკანასკნელ ჟამს, სამაგიეროდ მოსკოვში ხუთი დღით მომიხდა გაჩერება. უნდა თვით ნახოთ რა სანახავია რევოლიუციის ეტლგადავლილი ჭაღარა მოსკოვი. აუარებელი სახლები ტყვიებითაა დაცხრილული, მაღაზიების ვიტრინები დალეწილი. ბევრია დანგრეულ-დამწვარი სახლიც. ტვერის ბულვარის თავში კი ორი ისეთი სახლია დამწვარი, რომ მართლა იმ კუთხის თვალია. საუცხოვო ხუროთმოძღვრება. თეთრი რაზმი ყოფილა შიგ გამაგრებული და შიგვე გამოუწვავთ...

ჩვენ კრემლისკენ გავეშურეთ. ჯერ ისევ დორპატში ყოფნის დროს მომდიოდა ლეგენდები, რომ ვასილ ნეტარის ტაძარი დაუქცევს, მაცხოვრის საყდარი დაანგრიესო და სხ. ეს ლეგენდები მართლა ლეგენდადვე დარჩა. ვასილ ნეტარის ტაძარს მხოლოდ აქაიქ მოხვედრია თოფის ტყვია, მეტი არაფერი. რაც შეეხება კრემლს, მისი გალავანი-კი ძლიერ არის დაზიანებული. [illegible] და ცხრილულია და ზარბაზნის ტყვიებით [illegible] ნი, ყველაფერი ყოფილა ხმარებაში. საზარელი სურათია...

საგულისხმოა ერთი რამ: ვასილ ნეტარის ტაძრის მხრივ, კრემლის კარების თავზე არის ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ხატი, ზედ კედელზე დახატული. რუსული მასტიკა ამ ხატსაც შემოხვევია, და ზედ ასეთი წარწერა აქვს, ძველი წარწერა: 1812 წ. როდესაც მოსკოვს ნაპოლეონი შემოესია და კრემლს სროლა აუტეხა, ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ხატი გადარჩა უვნებლად. მაგრამ რაც ნაპოლეონს გადურჩა, ის ვერ გადარჩენია ლენინ-ტროცკის ჯარს, და იგი ხატი დახვრეტილ ჩამონგრეულია ხშირი ტყვიით. ხოლოდ წარწერა-ღა არის ირონიად დარჩენილი, და ხატი ცხვირ ზემოთ.

როგორც პეტერბურგი, ისე მოსკოვიც პირდაპირ დამშეულია. პური არ არის. გირვანქის მერვედი უნდა ეძლეოდეს კაცს, მაგრამ ხშირად არც ის ეძლევა. სპეკულიაცია ძლიერად არის ფრთაგაშლილი. და სწორედ ამ სიმშილის ნიადაგზე არის შექმნილი ის საშინელი ატმოსფერა, რომელიც ჰკვებავს „ობვოდნი კანალის“ ტიპებს, და უშლის ვრცელ ველს ბოროტმოქმედებისთვის.

ბოლშევიზმი... მაგრამ უნდა ნახოთ, როგორ სახიჩრდება ეს მარქსიზმის რევოლიუციონური წარმოშობა. უნდა თქვენ თვითონ განიცადოთ ამ „ბოლშევიკების“ რევოლიუციონური „მოქმედება“, რომ იქონიოთ რაიმე წარმოდგენა იმ მოვლენის შესახებ, რომელიც რევოლიუციის წმიდა დროშას აბინძურებს.

შავმა ტიპებმა ყველაზე მეტად ბოლშევიზმის დროშის ქვეშ მოიყარეს თავი. ეს გასაგებია.

ბოლშევიზმი გაძლიერდა, ძალა-უფლება ხელთ იგდო, და ვისაც სარგებლის ნახვა უნდოდა, ამ ძალას ამოეფარა. ეს ასეა. საზეიმო ეტლს თან გაჰყვება ხოლმე ყველა უსაქმური და ადვილ საშოვარის მაძიებელი. ლენინ-ტროცკის გამარჯვებულ მსვლელობის ფეხის ხმას აჰყვა საეჭვო ბრბო, და ეს ბრბო ისე გაიზარდა, რომ თვით მოზეიმეები დაჰფარა, და მათი ხმა გაისმის ხოლოდ ახლო ცოტა შორს მათი ხმა იკარგება და აღარ იცი სად თავდება იდეური ბოლშევიზმის გავლენა და სად იწყება „მოზეიმე ქამის“ უმსგავსი ავაზაკობა.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ პირდაპირ ზღაპრულად გაიზარდა ანარქიზმი მოსკოვში. ანარქიზმის მდგომარეობაც ისეთია, როგორც ბოლშევიზმის.

მილიციონერები... რომელი ავაზაკი შეედრება ბევრს მათგან? ცარცვავენ, ხოცავენ და მუქთად ჰქმნიან უსინიდისობის ვაკხანალიას. დაბინდდება და ქუჩები პირდაპირ ცარიელდება. აქაიქ თუ გამოჩნდება მოხრილი სილუეტი, რომელიც შიშით სადმე მიიზლაზნება კედელ-კედელ, და კურდღლივით აცეცებს თვალებს, რომ საფრთხის პირველ დანახვისათანავე უშველოს თავს. ყველა სახლის სადარბაზო კარი ამოქოლილია, აფიცრული. ყველა ეზოდან დიდის ალაყაფის კარები მუდამ დაკეტილია, შიგნიდან ერთად რიგ რიგად სდარაჯობენ სახლის მდგმურები, როგორც დღისით, ისე ღამით.

მატარებლები... ეს რომ საზარელ სანახაობას წარმოადგენს პირდაპირ ბრძოლით იღებენ მატარებელს. ხშირად სროლაც არის. ვინც შევა პირველად, ხომ ადგილს დაიჭერს, მაგრამ გარედ დარჩენილები ფანჯრიდან გადადიან, და ვაგონები ისე იჭედება ხალხით, რომ ფანჯრიდან ვეღარ გადადიან ვაგონში სავსებით, იჭედებიან, და ტანი რომ გადატანილი აქვთ ვაგონში, ფეხები ფანჯრის გარეთ რჩება, და ასე მიდის მოდის მატარებელი.

მოსკოვში გავიგეთ, რომ 26 თებერვალს საქართველოსკენ მიემგზავრება ქართული სანიტარული მატარებელიო. ჩვენც გავეშურეთ ჩასაწერად. ჩაგვწერეს, და 26 თებერვალს ჩვენი თეთრი მატარებელი მოსკოვიდან გამოეშურა სამხრეთისკენ. ქართველობის საკმაო რიცხვი წამოვიდა. ჩვენთან ერთად წამოვიდნენ სომხებიც. აქ მოსკოვის ქართულმა კომისარიატმა რამდენიმე ვაგონი დაუთმო მათ. პირი ვიბრუნეთ პურიან გუბერნიისაკენ, უკან კი დავტოვეთ მოსკოვი უპურო უშნო და აოხრებული.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

მუშათა წერილები

დღევანდელი ვითარება

რევოლუცია და სამშობლო განსაცდელში. ყოველი ნამდვილი რევოლუციონერი და გულწრფელი დემოკრატი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს არსებულ მდგომარეობას და გამონახოს გზა, რომლითაც შეიძლებოდეს რევოლუციისა და სამშობლოს დახსნა განსაცდელისაგან.

ჩვენ, ს.-ფედერალისტები რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მოვითხოვდით, რევოლუციის გასაღრმავებლად და მის სასურველად დასაგვირგვინებლად, დაუყონებლივ განთავისუფლებულიყო რუსეთის ყველა დაჩაგრული ერი, რომ ამით შესაძლებელი გამხდარიყო ერთა თავისუფალ ნებაზე დამყარებულ რუსეთის ერთა კავშირის შექმნა და ამნაირად ხელოვნურად შეხუხულებულ სახელმწიფოს მთლიან ერთეულად გარდაქმნა. მაგრამ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილება არ ინებეს რევოლუციის ხელმძღვანელებმა და ამით საძირკველი ჩაუყარეს იმ ანარქიას რომელმაც დაანგრია მთელი რუსეთი, დააშორა რუსეთის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთს და ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო უფსკრულის წინაშე დააყენა.

და დღეს ჩვენში გაბატონებული პარტია, იმის მაგივრად, რომ შეეგნო ეს წარსული შეცდომები და ნამდვილ გზას დასდგომოდა, კიდევ უფრო დაიბნა და ისეთ სამოქმედო გზას დაადგა, რომელიც უფრო აღრმავებს კატასტროფას. ის აქ ღალატობს ქვეყანას და ამისთვის ისტორია მას სამარცხვინო ბოძზე გააკრავს.

რა არის თუ არა ღალატი ის, რომ მაშინ, როდესაც საჭიროა ბრძოლისათვის მზადება, როდესაც მთელი ჩვენი ყურადღება სამშობლოს საზღვრებისაკენ უნდა იყოს მიქცეული, ეს პარტია კავშირს ჰკრავს ისეთ ჯგუფთან, რომელიც აშკარად ხელს უშლის მას ამ წმინდა საქმის შესრულებაში.

და როდესაც ჩვენმა პარტიამ მიუთითა მას შეცდომებზე და რევოლუციის და სამშობლოს საკეთილდღეოდ მოითხოვა ქართული მთავრობის შექმნა ამ პარტიის ორგანომ „ერთობამ“ მორიგი პროვოკაცია გასწია და საქვეყნოდ დაიძახა: დახეთ ნაციონალისტებს სამშობლოს და რევოლუციის დაღუპვა უნდათო.

გამოდის, რომ ოსმალეთის მოკავშირე „მუსავატთან“ დაძმობილება რევოლუციის და სამშობლოს სამსახური ყოფილა, ხოლო დამღუპველი პოლიტიკის მხილება და ჭეშმარიტი გზის ძიება კი რევოლუციის ღალატი.

„გაზეთი „ერთობა“ ამტკიცებს: რევოლუციის გამარჯვების პირობა ყველა ერის დემოკრატიის მთლიანობაშია, ხოლო საქართველოს მთავრობა ამ ერთობაში დისონანსს შეიტანსო. უნდა მოვახსენოთ გაზეთ „ერთობას“, რომ ეს მთლიანობა არ არსებობს; საჭიროა მისი შექმნა და შექმნისათვის კი საჭიროა ეროვნებათა ინტერესები გაიმიჯნოს, რასაც სწორედ ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობა, „მუსავატთან“ დაძმობილება კი ისეთ მთლიან დემოკრატიულ ფრონტს შექმნის, როგორიც შექმნა წერეთელ-რიაბუშინსკის კოალიციამ მოსკოვის სასახლეში.

დროა ყველა ამას ანგარიში გაუწიოთ, ბატონებო, და ხელი აიღოთ ქართველი ერის დამღუპველ პოლიტიკაზე, რომელსაც აქამდე აწარმოებდით, დაადგეთ ეროვნული თვითშეგნების გზას და ამით თქვენი ძველი შეცდომები გამოასწოროთ.

მუშა ფარმაცევტი.

ვისი ბრალია?

ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის მოლაპარაკება ოტომანის საიმპერატორო დელეგაციასთან სანუგეშო პერსპექტივას არ უსახავს მშრომელ დემოკრატიას. ოსმალეთის იმპერიალისტები მოითხოვენ საქართველოს თავის მოჭრას, ჩვენი თავისუფლების დახშობას. ვის ძალუძს წარმოიდგინოს ყველა ის, რაც ბათომის აღებით მოელის მრავალ ტანჯულ სამშობლოს, სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას. მდგომარეობა რთულია! ოსმალო ხედავს ჩვენი ჯარის უძლურებას და მთელ ამიერკავკასიაში არევ-დარევას და რასაკვირველია, ის ამით სარგებლობს.

ოსმალოს ჯარი ტიტველ-მწყურვალმშიერია და დაქანცული, მაგრამ არ არის მოკლებული ერთ უძვირფასეს განძს— შეურყეველ დისციპლინას. ჩვენს ჯარში ასეთ განძს ვერ შეხვდებით! შესაძლოა, თუ ჩვენში არ იქმნა აღდგენილი რევოლუციონურ-დემოკრატიული წესი, ოსმალებმა წალეკოს არა მარტო ბათომი, ყარსი და არტაანი, არამედ მთელი ამიერკავკასია.

რამ გაამხნევა ასე ოსმალები? განა ორი თვის წინ ისინი ჩვენ არ გვთხოვდნენ ზავის შეკვრას? მაგრამ მაშინ მათი წინადადება არ იქმნა მიღებული. რატომ? ვისი წყალობით?—მენშევიკების, რომლის ჰეგემონიის ქვეშ იმყოფება საქართველოს მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი, რადგანაც სეპარატიული ზავი შეარყევდა განსვენებულ ცენტრალიზმს.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიამ თავიდანვე შენიშნა საფრთხე და მისი ასაცილებლად ასეთი გამოსასვლელი გზა გამონახა: „ან სეპარატიული ზავი ოსმალეთთან, ჩამოგდება მშვიდობიანობისა ჩვენს ფრონტზე და ამასთანავე ერთად გამოცხადება ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა, რომელიც თავის დამოუკიდებლობას და საზავო პირობებს იარაღით დაიცავს, ან უარყოფა ოსმალეთთან მოლაპარაკებისა, უარყოფა მშვიდობიანობის დამყარებისა და ომის გაგრძელება იმ დრომდე, სანამ რუსეთი თითონ არ გაათავებს მასო“. ცხადია, ჩვენ პირველ დებულებას თანაუგრძნობდით, რადგანაც ჩვენს დროშას აწერია მშვიდობიანობა და სათნოება ერთა შორის. ეს დროზე შენიშნა გაზ. „ერთობამ“ და ასე აუწყა ქვეყანას: „ხედავთ უჯარო გენერლებს ე. ი. ს.-ფ., სეპარატიულ ზავს მოითხოვენ, კონტრრევოლუციონერები, სეპარატისტები არიან, ჰკა მაგათო“.

დღეს რას ვხედავთ?! სეპარატიულ ზავს „გაბატონებული“ პარტია დაბეჯითებით მოითხოვს და ამიტომ მუხლებზე დაყრდნობილი ევედრება ოტომანს. მაგრამ გვიანღაა...

ოსმალები მოითხოვენ იმ საზღვრების აღდგენას, რომელიც 1878 წლის ომამდე იყო, ე. ი. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების სინამდვილეში გატარებას.

რომ სამშობლო და რევოლუცია შავ უფსკრულის პირთან იმყოფება, ამას ხედავენ თვით „ერთობელებიც“ და მოუწოდებენ ყველას მის დასაცავად.

მდგომარეობა ერთობ უნუგეშოა. ვისი ბრალია? ჩვენ ბევრჯელ გავატარეთ კრიტიკის ქარცეცხლში მენშევიკების დამღუპველი პოლიტიკა, მაგრამ არ იქნა! ისტორია შესაფერ მსჯავრს დასდებს მენშევიკებს.

ვ. მუშიშვილი.

წერილი ახალციხიდან

უკანასკნელი ამბების გამო ბორჯომიდან ახალციხეს მოვიდა 250 კაცისაგან შემდგარი რაზმი. ახალციხის მცხოვრებლებმა და კერძოდ ქართულმა ინტერპარტიულმა საბჭომ, რომლის წევრებიც კუდში დასდევდნენ ყოველ დღე მაზრის უფროს შ. მაღლაყელიძეს და სთხოვდნენ მას გაეცნო ისინი დაწვრილებით ყოველივე მიმდინარე საჭირბოროტო საკითხს. მაინც მარტის 9-დან 12-ს ვერ გაიგეს—თუ ვისგან შესდგებოდა ახალციხეში მოსული რაზმი და ეგონათ, რომ ეს რაზმი შეადგენს რეგულიარულ ჯარის ნაწილს, მაგრამ 12 მარტს, როდესაც რაზმელებმა ქუჩებში დაიწყეს უკმაყოფილების გამოთქმა, რომ ისინი ორი დღე მშიერი არიან და მათთვის არავინ არ ზრუნავს, ინტერპარტიულმა საბჭომ იმ დღესვე მოიწვია კრება, სხვათა შორის შ. მაღლაყელიძეც, და გამოირკვა, რომ რაზმი შესდგება „წითელი რაზმელებისაგან“, რომელთაც მთავრობა ვალდებული არ არის მიუჩინოს ბინა და აძლიოს სასმელ-საჭმელი. ეს ცნობები შ. მაღლაყელიძეს შეეძლო შეეტყობინებია ინტერპარტიულ საბჭოსთვის რაზმის მოსვლის დღიდანვე და ამ შემთხვევაში რაზმი იმ მწუხარებას არ განიცდიდა, რაც მან განიცადა 3-4 დღის განმავლობაში, მით უმეტეს ჩვენ მესხებს ჯერ არ ჩაგვქრობია სტუმართ მოყვარეობა და მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ოჯახის გამონაკლისით, ყველანი თითქმის გაძვალტყავებულნი ვართ, მაინცა და მაინც „ხაზითა და პურითაც“ არის გაუმასპინძლდებოდით სტუმარ წითელ-რაზმელებს და არ დავსტოვებდით მშიერებს. მაგრამ, მაგარი კიდევ პარტიული ქიშპობა არის, რომლის ნიადაგზეც ადგილობრივი მთავრობა ანგარიშს არ უწევს ქართულ ინტერპარტიულ საბჭოს. ასე რომ არ ყოფილიყო წითელი რაზმი 2 დღე მშიერი არ დარჩებოდა.

13 მარტიდან ინტერპარტიულ საბჭოს წევრებმა: მღ. ბ. კანდელაკმა ამხ. ზაქარია დიდიმამიშვილმა და დ. ბააზოვმა, რაზმს მიუჩინეს ბინა, ქართველთა თავშესაფარიდან გამოიტანეს რაზმელებისთვის საბნები, ლოგინები თივისა და სხვა. ვინაიდან წითელი რაზმელები მოსული არიან მშვიდობიანობის დასამყარებლად ქალაქში, სადაც უმეტეს ნაწილს მცხოვრებლებისას შეადგენს სომხების ბურჟუაზია, ამიტომ ინტერპარტიულ საბჭოს ზემოხსენებულ წევრებმა სთხოვეს ქალაქის თვითმართველობას რაზმის გამოკვება ეკისრნა ქალაქს. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და მარტის 15-დან წითელი რაზმი სანოვაგეს იღებს ქალაქიდან. 13 და 14 მარტს კი რაზმს სანოვაგე აძლია მე-9 ქართულმა პოლკმა.

თუმცა წითელი რაზმელების საყვედური სამართლიანი იყო, მხოლოდ ისინი ზემონათქვამიდან დარწმუნდებიან, რომ მათ სიმშილში საერთოდ ახალციხის ქართველობას, და კერძოდ ქართულ ინტერპარტიულ საბჭოს, არავითარი დანაშაული არ მიუძღვის.

დამნაშავენი არიან ქალაქის მამები და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელნი, რომლების პირდაპირი მოვალეობა იყო სურსათის და ბინის მხრივ, მოსვლისათანავე უზრუნველეყოთ წითელი რაზმელები.

—

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქალაქის ახალი ნაწილი, სადაც მოსახლეობს სომხის ბურჟუაზია, და ეგრეთვე ებრაელების უბანიც, რომლის ინტერესებსაც მედგრად იცავს რაბინი ბააზოვი, განათებულია ელექტრონის სინათლით, არ იქმნა და ვერ ეღირსა დღემდის ამ სინათლეს ქართველების ძველი ნაწილი—რაბათი.

რას აკეთებს რაბათის მიერ ამორჩეული ქალაქის საბჭოში ხმოსანი ბ-ნი ლ. ფირალოვი? ალბად ეს ადამიანი შუამდგომლობს საბჭოში, სანამ ომი გათავდებოდეს რაბათში ელექტრონის სინათლეს ნუ გაიყვანენ, ვინაიდან თუ რაბათში სინათლე იქმნება, მტრის ჰაეროპლანებიდან ჩამოყრილი ყუმბარები გაანადგურებს მას! დროა რაბათელებმა გაახილონ თვალები და მოითხოვონ დაუყონებლივ ელექტრონის სინათლის გაყვანა რაბათშიც. კმარა აბუჩად აგდება და ბნელეში ყოფნა

—

ვინაიდან ბოლშევიკების პარტიამ ვერ გაიდგა ფესვები, აგერ ორი კვირაა მათი ოფიციალური ბიურო დაიკეტა. ესევე მოელის მენშევიკების ბიუროსაც. უკანასკნელმა ოცი წლის წინად ადგილობრივ „კინო-პალას“-ში თვითონ აიღო სურათების ჩვენება. შემოსავალი უნდა მოხმარებოდა ქართველ ჯარისკაცებში ლექციების კითხვას, დღემდის ერთი ლექციაც არ წაუკითხავთ ჯარისკაცებში.

—

ახლად დაარსებულმა რაბათის ქართულმა დრამატიულმა წრემ თებერვლის განმავლობაში უკვე შეაგროვა 60 მანეთზე მეტი თანხა. 11 თებერვალს მოხდა წრის წევრთა კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ზაქარია დიდიმამიშვილი, ვ. ჯამასპიშვილის მდივნობით, კრებამ ამოირჩია წრის ადმინისტრაციის პრეზიდიუმი, თავმჯდომარედ სიმონ დიდიმამიშვილი, ამხანაგად გიორგი იგითხანიშვილი, მდივნად ლ. კანდელაკი და ხაზინადრად ლუკა ხუციშვილი. ამოირჩიეს სარევიზიო კომისიაც, სადაც შევიდნენ: ოლღა გიორგაძე, გაბრიელ გურვენჯგიშვილი, სამსონ გოგინაშვილი და სხვ. ხმის უმრავლესობით კრებამ გადასწყვიტა წრის სახელობით ახლო მომავალში გახსნას რაბათში „კლუბი“, რითაც გარეშე პირთაც—შეეძლებათ ისარგებლონ ისე, როგორც დრამატიული წრის წევრებს. აღსანიშნავია დრამატიული წრის მხნედ მუშაობა, ვუსურვებთ მას შემდეგშიც განვითარების გზაზე მუშაობას და აღორძინებას.

აღმოსავლეთელი.

მოწერილი ამბები.

დ. ოჩამჩირე. ეს დაბა ბუნებით მდიდარია უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ბურჟუაზიაა, როგორც თვითმპყრობელობის დროს, ისე დღესაც თავად-აზნაურობა ყველას დიდსა და პატარას ენაზე აკერია. წოდებრივი უპირატესობა გამეფებულია. ამ დაბაში იშვიათად ნახავთ ქართულის მცოდნე პირებს, ხალხი გარუსებულია. აქ სხვაზე შედარებით რუსულ ენას დიდი უპირატესობა აქვს მინიჭებული. ნუ თუ ამ ხალხს არ შეუგნიათ ქართული ენის სიდიადე, ნუ თუ მათ არ აინტერესებთ სამშობლო ენა. თვითმპყრობელობის დროს ქართული ენის უცოდინარობას ნიკოლოზის მთავრობას ვაბრალებდით. დღეს ვის უნდა დავაბრალოთ, თამამად შეიძლება ითქვას რომ ყველა ეს ჩვენს გულგრილობას და გადაგვარებას ადასტურებს. გახსოვდეთ რომ თქვენი სამშობლო გავალებთ თქვენ სამშობლო ენის შესწავლას, და ამისათვის ჩემის აზრით წერაც ზედმეტია. კიდევაც საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ერთად ერთი ფრიად საყურადღებო მოვლენა. იქ არ არსებობს წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომელიც უპირველეს საჭიროებას შეადგენს საზოგადოებისათვის. აქ ბანქო-ნარდის თამაშს უფრო გასავალი აქვს, ვიდრე კითხვას.

აქაური ინტელიგენტები ტანისამოსის გამოცვლაში ატარებენ დროს.

სხვათა შორის როგორც სხვაგან, აქ ბოლშევიზმის სული ტრიალებს. ადგილობრივი ბურჟუები და თავად-აზნაურობა დარაზმულნი არიან მათ წინააღმდეგ ზარბაზნებით და თოფებით ღამღამობით უთავბოლო სროლაა; ხალხს შიშის ზარსა სცემს. საჭიროა ყველა ამას ბოლო მოეღოს და საზოგადოებაც გამოღვიძების გზას დაადგეს.

ტერ. წალენჯიხელი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

ამა წლის 11 მარტს ქ. ახალსენაკში მილიციონერის ხელით მოკვდა პორუჩიკი მე-7 ქართველთა მსროლელი პოლკის დომენტი შარვაძის ძე ჯაბავა, როგორც გადმოგვცემენ. ბოროტი მკვლელი ჯერ კიდევ არ არის დაჭერილი. მკვლელობის გამოძიება და მკვლელის კანონიერი პასუხისმგებლობა თავს იდვა სამხედრო რევოლუციონურმა ტრიბუნალმა. ღრმად აღშფოთებულნი ასეთი საზიზღარი ფაქტით მკვლელობისა მებრძოლი ამხანაგის მეტადრე ასეთს დროს, როდესაც სამშობლო უფსკრულის პირზეა, ოფიცრებმა ფოთის და სენაკის რაიონებისა იქონიეს მსჯელობა, თავის მრავალრიცხოვან კრებაზე შესახებ ზევით დასახელებული მკვლელობის და ერთხმად მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე: უცხადებს სრულ ნდობას რევოლუციონურ ტრიბუნალს და იმედოვნებს, რომ ის მიიღებს ყოველივე მისგან დამოკიდებულ ზომას, მკვლელის სრული პასუხისმგებლობისათვის. მასთან ერთად გამოსთქვამს თავის გულისწყრომას იმის შესახებ, რომ ჯერჯერობით არავითარი ზომა არ არის, მიღებული რომ საზიზღარი მკვლელი დატუსაღებული იყოს საქმის გამოძიებამდის, მით უმეტეს, როდესაც ის ბევრმა იცის, თითქოს მას არაფერი დაუშავებია, ისე, არხეინად განაგრძობს თავის ყოველ დღიურ ცხოვრებას.

კრების მინდობილობით: ექიმი 3-მე ქართველთა მსროლელი პოლკის ალ. გამყრელიძე, პორუჩიკები იმავე პოლკისა შ. კვაჭაძე და კ. ჯაფარიძე.

P. S. ყველა ქართულ გაზეთს ვსთხოვთ ეს წერილი გადაბეჭდოს.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

შემთხვევით იყიდება

სხვა და სხვა საუკეთესო წიგნები საქართველოს ისტორიის შესახებ, ჟურნალ გაზეთები და დამატებები „ცნობის ფურცლისა“, „კვალი“, „ივერია“, „იშმაკის მათრახი“ „მოამბე“ და სხ.; „ფრენჩის“ ახალი კოსტუმი ლურჯი მაუდისა, ორი პალტო ზაფხულის და ზამთრის და ამერიკანული ფეხსაცმელები „შევრო“.

მისამართი: თელავის ქ. № 47, მეველიშვილთან. 1120

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

საბუღალტრო კურსები
გ. კ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოევის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ქ. ქამქამში.
ექიმი რევაზ ალექსანდრეს ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების კუთხე, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სამეანო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 2 ეზოში. 1002

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს 1½—3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგეევის ქ. № 1. ტელ. 16—67. 1009

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. გულისა, ფილტვისა და სისხლის კლინიკებისა, სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის“ პირდაპირ. 1029

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
შინაგანი სნეულებანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. საღამოს 4—6-მდე მოსკოვის ქ. № 11. 294

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 87. ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანშვილისა. ტელეფ. 5—17. 1080

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
[illegible] ავადმყოფებს. ვენერიულ, [illegible] სნეულებით, წამლობა „606“ და „914“ (შხაპუნება). საღამოობით 5½—7 საა. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძ. სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ზ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 83. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1001

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
ზ. გ. მექრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვისა, გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა სხივებით, დიდი სოლიუქსი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

მარტის 20 გაიხსნება
ახალი სამკურნალო
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეთიანცის
ყოველგვარ ავად[illegible]
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და „კიროჩნის“ ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 16—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს.-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის.
ღარიბები უფასოთ კვირაობით, ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. 10—12-მდე. 327

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
[illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. გ. [illegible]: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
შ. შ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:
ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.
ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., [illegible]ახე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციის.

სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14